დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

გულნარა ხაბურზანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

- **ნინი კეპულაძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
- **თეა მელქაძე** -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- **მირანდა თურმანიძე** - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- **მაია ქუთათელაძე** - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
- **ნინო ბერიშვილი** - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
- **ნანა ნოზაძე** - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
- **ირინე ჯანაშია** - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
- **მარინე ახალაია** - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
- **თამარ ზედგენიძე** - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
- **ნინო ჯოჯიშვილი** -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204859974

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ზ. ფალიაშვილის ქ. 57
საფოსტო ინდექსი	0179
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/172?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi165@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	032 2223824

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 13 თებერვლის MES 8 26 0000163780 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 24 და 25 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 57; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2, N3 და N4
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 57; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2, N3 და N4
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 57; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2, N3 და N4

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის MES 8 26 0000163780 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განვახორციელეთ ვიზიტი სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში მის.: ქალაქი თბილისი ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 57 მიმდინარე წლის 24 და 25 მარტს. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან.

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დამატებითი იქნა გამოთხოვილი გარკვეული დოკუმენტაცია.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნობრივი მიმართულების მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. სკოლის პერსონალი ორიენტირებულია განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებზე და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 850	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით (08.01.2026-15.09.2026წწ.) სამედიცინო პერსონალის დასაქმება კანონმდებლობით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.* ***(იხ. ინდიკატორი)***
ინდიკატორი N3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	*უზრუნველყოს სკოლამ პირველადი სამედიცინო დახმარების სერვისის მიწოდება* ***შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის*** *მეშვეობით და აღმოფხვრას ხარვეზი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით* ***(20.01.2026-15.09.2026)*** ***(იხ. ინდიკატორი)***
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა აკრედიტებულ ორგანიზაციაში.* *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(<u>დაწყებითი საფეხურის</u>* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	*<u>საბუნებისმეტველო მეცნიერებები:</u>* • *სასურველია III და IV კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის*

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	*გადახედვა და თემის გრაფაში მხოლოდ სტანდარტით გათვალისწინებული თემების დატოვება. ასევე IV კლასში მოხდეს საკითხთა კლასტერისა და კონტექსტ მაგალითის გრაფების გადაჯგუფება, ხოლო III კლასში თემის გრაფაში ჩაწერილი საკითხების გადატანა.* • *კორექტირებისას გამოიყენონ V და VI კლასის კურიკულუმის შექმნის შედეგად მიღებული გამოცდილება.* ***<u>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:</u>*** • *სასურველია III და IV კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის გადახედვა და თემის გრაფაში მხოლოდ სტანდარტით გათვალისწინებული თემების დატოვება.* ***(იხ. ინდიკატორი)***
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** • *საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, სკოლაში მრავალფეროვანი რესურსების სისტემური შემოტანა;* • *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე;* • *სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.* • *რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა;* • *სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები;* • *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე*

		მუსიკის საგნების სწავლებისთვის; ● *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.* ***<u>სახელმწიფო ენა</u>*** *სასურველია, ის სააზროვნო სქემები, გრაფიკული მაორგანიზებლები, რომლებსაც სწავლის პროცესში იყენებენ (რაც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა), საგნობრივ კურიკულუმებშიც აისახოს.* ***(იხ. ინდიკატორი)***
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***<u>უცხოური ენები:</u>*** ● *სასურველია, მკაფიოდ იყოს გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტის პირობა და აქტივობები დიფერენცირებული სწავლებისთვის. მოხდეს დიფერენცირებული სწავლების პროცესის ხშირი ანალიზი და მასზე დაფუძნებით მეტი მრავალფეროვანი რესურსის შექმნა.* ***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** ● *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე* ● *სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.* ● *რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა.* ● *სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები.* ● *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში — ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე*

		მუსიკის საგნების სწავლებისთვის. ● *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.* ***(იხ. ინდიკატორი)***
ინდიკატორი N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** ● *სასურველია დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას მოსწავლის განვითარებისა და წინსვლის ხელშესაწყობად გამოყენებულ იქნას მოსწავლეების ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა.* ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *სასურველია, შეფასების რუბრიკებში მეტი სიზუსტით აღიწეროს შეფასების კრიტერიუმები _ გამოიკვეთოს მისაღწევი შედეგები და დავალების პირობასთან მიმართება.* ***(იხ. ინდიკატორი)***
ინდიკატორი N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** *სასურველია, შეფასების ინსტრუმენტების გამრავალფეროვნება და მათი კომპლექსურ დავალებებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პრაქტიკის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის ობექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის შემდგომ გაძლიერებას.* ***(იხ. ინდიკატორი)***
ინდიკატორი N2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** ● *საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია სკოლაში მრავალფეროვანი რესურსების სისტემური შემოტანა.* ● *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებასა.* ● *სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.*

		• *რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა.* • *სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები.* • *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის.* • *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.* *(იხ. ინდიკატორი)*
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>* *სასურველია, სკოლას ჰქონდეს გამოყოფილი სივრზე სახელოსნოსთვის, საკლასო ოთახის სახით, სადაც დამონტაჟებული იქნება წყლის ონკანი საღებავით მუშაობის პირობების შესაქმნელად. ასევე კარგი იქნება, თუ სკოლა იზრუნებს მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვილი მუსიკის კაბინეტის შექმნაზე.*
სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*<u>რჩევა</u>*
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული	*<u>სახელმწიფო ენა:</u>* *სასურველია, ის საზროვნო სქემები, გრაფიკული მაორგანიზებლები, რომლებსაც სწავლის პროცესში იყენებენ (რაც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა), საგნობრივ კურიკულუმებშიც აისახოს.* *<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*

	სწავლის შედეგების მიღწევას	• *საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, სკოლაში მრავალფეროვანი რესურსების სისტემური შემოტანა.* • *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებასა.* • *სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.* • *რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა.* • *სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები.* • *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის.* • *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.* *<u>(იხ. ინდიკატორი)</u>*
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	*<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>* *საბაზო საფეხურზე სამივე საგანში (ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია) სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების შემდგომი გაძლიერება სხვადასხვა მიმართულებით -დავალებები, აქტივობა ან მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროდუქტი - სასწავლო პროცესში ინკლუზიურობის გაზრდის მიზნით.* *<u>უცხოური ენები:</u>* • *სასურველია, მკაფიოდ იყოს გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტის*

		პირობა და აქტივოებები დიფერენცირებული სწავლებისთვის. მოხდეს დიფერენცირებული სწავლების პროცესის ხშირი ანალიზი და მასზე დაფუძნებით მეტი მრავალფეროვანი რესურსის შექმნა. ***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** ● *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე* ● *სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.* ● *რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა.* ● *სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები.* ● *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში — ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის.* ● *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.* ***(იხ. ინდიკატორი)***
ინდიკატორი N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** ● *სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას მოსწავლის განვითარებისა და წინსვლის ხელშესაწყობად, გამოყენებულ იქნას მოსწავლეების ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა.* ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *სასურველია, შეფასების რუბრიკებში მეტი სიზუსტით აღიწეროს*

		შეფასების კრიტერიუმები _ გამოიკვეთოს მისაღწევი შედეგები და დავალების პირობასთან მიმართება. ***(იხ. ინდიკატორი)***
ინდიკატორი N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** *სასურველია, შეფასების ინსტრუმენტების გამრავალფეროვნება და მათი კომპლექსურ დავალებებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პრაქტიკის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის ობექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის შემდგომ გაძლიერებას.* ***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** *სასურველია, საბაზო საფეხურზე მეტი შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვა, სადაც პრაქტიკული ნაწილი არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს თეორიულ ცოდნასთან მიმართებაში. სასურველია, შესრულებული დავალებების და შემოქმედებითი პროდუქტების საჯაროდ პრეზენტაცია/გამოფენა სასკოლო სივრცეში.* ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>*** *სასურველია, შეფასების ინსტრუმეტების დახვეწვა საბაზო და საშუალო საფეხურზე. მეტი სიცხადის შეტანა მოხდეს. მათი კომპლექსურ დავალებებთან შესაბამისობაში მოყვანა.* ***(იხ. ინდიკატორი)***
ინდიკატორი N2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** • *საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, სკოლაში მრავალფეროვანი რესურსების სისტემური შემოტანა.* • *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებასა.* • *სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.* • *რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს.*

		ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა. • *სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები.* • *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის.* • *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.* *(იხ. ინდიკატორი)*
ინდიკატორი N2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	*<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>* • *სასურველია, სკოლას ჰქონდეს გამოყოფილი სივრცე სახელოსნოსთვის, საკლასო ოთახის სახით სადაც დამონტაჟებული იქნება წყლის ონკანი საღებავით მუშაობის პირობების შესაქმნელად. ასევე კარგი იქნება, თუ სკოლა იზრუნებს მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვილი მუსიკის კაბინეტის შექმნაზე.* *(იხ. ინდიკატორი)*
სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(<u>საშუალო საფეხურის</u>* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.2.	***კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს***	*<u>უცხოური ენები:</u>* *გერმანული ენის საშუალო საფეხურის კურიკულუმში მოცემული ზოგიერთი დავალება სტანდარტთან მიმართებით მარტივია. სასურველია, მათი სირთულის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა.* *(იხ. ინდიკატორი)*
ინდიკატორი N2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის**	*<u>უცხოური ენები:</u>* • *სასურველია, გერმანულ ენასთან დაკავშირებით საშუალო საფეხურზე*

	საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	*სასწავლო რესურსის უკეთ ჩანდეს და მოხდეს მისი სისტემური გამრავალფეროვნება;* ● *სასურველია, კურიკულუმში შემოქმედებითი პროდუქტი იყოს უკეთ აღწერილი.* ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *სასურველია, ის სააზროვნო სქემები, გრაფიკული მაორგანიზებლები, რომლებსაც სწავლის პროცესში იყენებენ (რაც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა), საგნობრივ კურიკულუმებშიც აისახოს.* ***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** ● *საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, სკოლაში მრავალფეროვანი რესურსების სისტემური შემოტანა;* ● *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე;* ● *სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.* ● *რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა.* ● *სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები.* ● *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის.* ● *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.* ***(იხ. ინდიკატორი)***

ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***უცხოური ენები:*** ● *სასურველია, მკაფიოდ იყოს გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტის პირობა და აქტივობები დიფერენცირებული სწავლებისთვის. მოხდეს დიფერენცირებული სწავლების პროცესის ხშირი ანალიზი და მასზე დაფუძნებით მეტი მრავალფეროვანი რესურსის შექმნა;* ***ესთეტიკური აღზრდა:*** ● *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე;* ● *სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე;* ● *რეკომენდებულია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა;* ● *სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები;* ● *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში — ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის;* ● *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.* ***(იხ. ინდიკატორი)***
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** ● *საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას მოსწავლის განვითარებისა და წინსვლის ხელშესაწყობად სასურველია გამოყენებულ იქნას მოსწავლეების ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა.*

		სახელმწიფო ენა: *მიზანშეწონილია, შეფასების რუბრიკებში მეტი სიზუსტით აღიწეროს შეფასების კრიტერიუმები - გამოიკვეთოს მისაღწევი შედეგები და დავალების პირობასთან მიმართება.* ***(იხ. ინდიკატორი)***
ინდიკატორი N2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *სასურველია, შეფასების ინსტრუმენტების გამრავალფეროვნება და მათი კომპლექსურ დავალებებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პრაქტიკის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის ობექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის შემდგომ გაძლიერებას.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სასურველია, შეფასების ინსტრუმეტების დახვეწა საბაზო და საშუალო საფეხურზე. მეტი სიცხადის შეტანა მოხდეს. მათი კომპლექსურ დავალებებთან შესაბამისობაში მოყვანა.* ***(იხ. ინდიკატორი)***
ინდიკატორი N2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	***ესთეტიკური აღზრდა:*** • *საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, სკოლაში მრავალფეროვანი რესურსების სისტემური შემოტანა.* • *სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებასა.* • *სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე.* • *სასურველია, სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა;* • *სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი*

		პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები. • *მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის.* • *მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში.* ***(იხ. ინდიკატორი)***
ინდიკატორი N2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** • *სასურველია, რომ სკოლას ჰქონდეს გამოყოფილი სივრცე სახელოსნოსთვის, საკლასო ოთახის სახით სადაც დამონტაჟებული იქნება წყლის ონკანი საღებავით მუშაობის პირობების შესაქმნელად. ასევე კარგი იქნება, თუ სკოლა იზრუნებს მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვილი მუსიკის კაბინეტის შექმნაზე.* ***(იხ. ინდიკატორი)***

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლა გაეცნო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შემუშავებულ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და სრულად დაეთანხმა დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და შეფასებებს. ასევე, დანართების სახით წარმოადგინა მტკიცებულებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გაუმჯობესება და შესწორება სკოლამ აღნიშნულ პერიოდში უზრუნველყო. კერძოდ,

ინდიკატორი 3.5.1.1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სკოლას მიღებული ჰქონდა რჩევა: სასურველია, პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით სპორტულ დარბაზთან არსებული გოგონების გასახდელში ფანჯრებზე ფარდის გაკეთება.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას ზემოხსენებული რჩევის გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ქ. თბილისის N165 საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისია და ხედვა გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის **მისიაა:** სწავლა-სწავლების ეფექტური სტრატეგიების პრაქტიკაში დანერგვით, არაფორმალური განათლების გაძლიერებით, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვით, ინფრასტრუქტურის განვითარებით და მოსწავლეებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნით სკოლა ხელს შეუწყობს პოზიტიურ, ზრუნვასა და ხარისხიან განათლებაზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს ფორმირებას. სკოლის **ხედვით** სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლა 2032 სასწავლო წლისთვის თბილისის მასშტაბით იქნება მაღალი ნდობის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ფორმალური და არაფორმალური განათლების ძლიერი სისტემით დაეხმარება მოსწავლეებს მდგრადი განვითარების მიზნების გაცნობიერებასა და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. სკოლის **ღირებულებებია:** გუნდურობა; სანდოობა; პროფესიონალიზმი; უფლებების დაცვა; თანასწორობა; განვითარებაზე ორიენტირება. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლა ორიენტირებულია შექმნას ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო სივრცე, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას. **ინდიკატორი 1.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მათი შინაარსი მოიცავს მთავარ პრინციპებს - არაფორმალური განათლების გაძლიერებით, სწავლა-სწავლების თანამედროვე სტრატეგიების გამოყენებით, ინფრასტრუქტურის განვითარებით შეუქმნას მოსწავლეებს უსაფრთხო, პოზიტიური და ხარისხიან განათლებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების, ინტერესებისა და ნიჭის გამოვლენა-განვითარებას. სსიპ ქ. თბილისის N165 საჯარო სკოლაში 2020-2025 წლებში მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, როგორც შიდა ისე გარე პერიმეტრზე, გამაგრდა შენობა, მოწესრგიდა სკოლის ეზო. სასკოლო საზოგადოებასთან ექსპერტთა მიერ გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლეების ემოციური უსაფრთხოებისთვის, რათა მათ თავი მაქსიმალურად დაცულად იგრძნონ და შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას სოციო-კულტურული გარემო, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემაზე, თანამშრომლობაზე, ნდობასა და დემოკრატიის დაცვის პრინციპებზე. სკოლა ამ მიმართულებით ახორციელებს სასკოლო პროექტებს, რომლებშიც აქტიურად ჩართულია სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი 1.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის ფილოსოფიის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (ბრძ. 2-78; 14.05.2025წ), რომლის სხდომის ოქმშიც (16.05.2025წ. ოქმი N1; 02.06.2025წ. ოქმი N2) ვკითხულობთ, რომ სკოლისთვის პრიორიტეტული იყო სკოლის ფილოსოფიის სამუშაო ვერსიების შემუშავება და მათი გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა განხორციელდა ელექტრონულად forms-ის კითხვარების მეშვეობით. სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის შესახებ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რომლის საფუძველზეც შემუშავდა სკოლის ფილოსოფიის საბოლოო ვერსია. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც დასტურდება არამარტო სკოლის მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, არამედ დირექციასთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრებით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავებისას დაწესებულებამ მონაცემთა შეგროვებისთვის გამოიყენა კითხვარები, რომელიც წარმოდგენილი იყო ვიზიტის პერიოდში. აღნიშნული

დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითაც. გამოკითხვაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ მოსწავლეებს, მშობლებს და თანამშრომლებს. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ სკოლის არსებულ ფილოსოფიას და ამასთანავე გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება, რამდენად ეთანხმებოდნენ ან რის ცვლილებას ისურვებდნენ ამ მიმართულებით და სხვ. სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა სკოლის განახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლის განხილვა/გაცნობა მოხდა მეთოდოლოგიის დოკუმენტით გათვალისწინებული ეტაპების შესაბამისად. **ინდიკატორი 1.1.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს სკოლის ფილოსოფიას (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები), რამდენადაც იგი საჯაროდაა ხელმისაწვდომი და განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლა **ინდიკატორი 1.1.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოდ, საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი 1.1.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1; 16 მაისი 2025 წ.;
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2; 02 ივნისი 2025 წ.;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (ბრძ. N2-78; 14.05.2025წ);

- კითხვარები;
- სკოლის ფილოსოფიის კითხვარის ანალიზი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლა

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (ბრძ.N2-378. 03.12.2025წ.) დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტის მე-7 მუხლით რეგულირდება ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესი, რომლის დროსაც დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასთან, ისმენს მათ

შენიშვნებს და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების საბოლოოდ შემუშავებულ დოკუმენტებში ასახვას. **ინდიკატორი 1.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სტრატეგიული გეგმა შედგება სკოლის ფილოსოფიის, SWOT ანალიზის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებისგან. 2025 წლის 08 სექტემბერს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა (ოქმი N23) 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმა, მანამდე კი მათი პროექტების განხილვა მოხდა 2025 წლის 02 ივლისის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი N18). სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განისაზღვრა სკოლის მისიის შესაბამისი პრიორიტეტული ამოცანები და მიზნები. სკოლის შესაძლებლობისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება/მოვალეობების განხორციელებისთვის სკოლას დაგეგმილი აქვს 2025-2032 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით: სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება და ინოვაციური მეთოდების დანერგვა; ინკლუზიური და თანასწორი განათლების ხელშეწყობა; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება და გუნდური მუშაობის კულტურის გაღრმავება; უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა; საზოგადოებასთან აქტიური ურთიერთობა და ღიაობა. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და ემსახურება სკოლის მისიისა და ხედვის რეალიზებას. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფების, პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს ოქმები, რითაც დასტურდება, რომ სკოლა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას ხელმძღვანელობს მეთოდოლოგიის დოკუმენტით გათვალისწინებული პროცესებით, რაც მიმართულია სკოლის მისიის განხორციელებაზე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობდა შვიდწლიანი სტრატეგიულ გეგმიდან. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პირველი სემესტრის შედეგები, რომელიც განხილულ იქნა სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 12 იანვრის სხდომაზე (ოქმიN1). ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სამოქმედო გეგმის შედეგების ანალიზსა და თვითშეფასებას. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, მეთოდოლოგიის დოკუმენტის (მუხლი 9, პუნქტი 4) შესაბამისად, მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და აქტივობებს, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს, აქტივობების შესრულების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს და რესურსებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ჯგუფი მიიჩნევს, რომ ყველა ამოცანის შესაბამისი აქტივობის განხორციელების ვადები რეალისტურია. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტში დიაგნოსტიკური წერები გაწერილი იყო მიმდინარე წლის მე-5-8 თვეებში. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით, ეს მხოლოდ ტექნიკური შეცდომა იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის დოკუმენტი, რომლის თანახმად დიაგნოსტიკური წერის პირველი ეტაპი განხორციელდა პირველ სემესტრში, როგორც ეს სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს ექსპერტებთან ინტერვიურებისას. ამასთანავე, ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 25 მარტის სხდომის ოქმი N6, რომლითაც დასტურდება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ტექნიკური უზუსტობის აღმოფხვრის ფაქტი. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (ბრძ. N2-306; 05.12.2023წ);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,2023 წლის 05 დეკემბრის ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ N2-306; ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ (ბრძ.N2-378. 03.12.2025წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N3; 10.07.2025 წ.;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (ბრძ. 2-78; 14.05.2025წ);

- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები;
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მოსწავლეთა, მშობელთა და თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგები;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N1; 12.01.2026წ.;
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6; 25.03.2026წ.;
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N23; 08.09.2025 წ.
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N18; 02.08.2025წ.;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-11 თავი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმებს, რომლის თანახმად სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ, ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატგიული გეგმის დამტკიცებამდე) სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. **ინდიკატორი 1.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის დოკუმენტით არის განსაზღვრული (მუხლი 11) სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი. სამოქმედო გეგმის მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისთვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. შესაბამისად, სასწავლო წლის ბოლოს

სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ექსპერტთა მიერ ვიზიტის პერიოდში დადგინდა ტექნიკური შეცდომა, რაც გულისხმობდა დიანოსტიკური წერების განხორციელებას მე-5, 6, 7 და მე-8 თვეების პერიოდში. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, ეს რეალურად იყო ბეჭდური შეცდომა. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგები (პირველი სემესტრის), სადაც აღნიშნული ხარვეზი არ ფიქსირდებოდა და თავად დიაგნოსტიკური წერების პირველი ეტაპიც რეალურად განხორციელებული იყო პირველ სემესტრში, როგორც ეს სასკოლო სასწავლო გეგმითაც იყო განსაზღვრული. ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილი მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სემესტრის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერებული პირისთვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო ასევე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების სემესტრული ანგარიში (დირექტორის მოადგილის ანგარიში, ექიმის ანგარიში, მნე-ს ანგარიში). მშობლებთან გასაუბრებისას ასევე გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ხარისხი და დამოკიდებულება სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები სკოლის მიერ გააზრებული და რეალისტურად შეფასებულია. **ინდიკატორი 1.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გასაჯაროების მექანიზმები (მუხლი 12), კერძოდ: ეს შეიძლება განხორციელდეს: სკოლის ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელის მეშვეობით ან სკოლის სტენდი/საინფორმაციო დაფაზე. სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების საჯაროობის მიზნით სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პირველი სემესტრის ფარგლებში აქტივობების შესრულების შედეგები. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დგინდება, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები განხილულია სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2026 წლის 12 იანვრის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (ოქმი N1) მოხდა სკოლის განვითარების 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის საკითხის განხილვა, კერძოდ, პირველი სემესტრში ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდა სამოქმედო გეგმის მიხედვით პირველ სემესტრში დაგეგმილი

პროცესების განხორციელების შედეგების ანალიზი. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით სასწავლო წლის ბოლოს მოხდება მონიტორინგის შეფასებების ანალიზი და ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტული იქნება ის, რაც საჭიროებს გაუმჯობესებას. **ინდიკატორი 1.2.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. N2-306; 05.12.2023წ);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 05 დეკემბრის ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ N2-306; ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ (ბრძ.N2-378. 03.12. 2025წ.);
- დირექტორის მოადგილის ანგარიში;
- მნე-ს ანგარიში;
- ექიმის ანგარიში;
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6; 25.03.2026წ.;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები;
- 2026 წლის 12 იანვრის სამეურვეო საბჭოს სხდომა (ოქმი N1);
- სკოლის ვებგვერდი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დაწესებულებამ ორგანიზაციული წყობა წარმოადგინა გრაფიკული სახით (ორგანოგრამა), რომელიც განსაზღვრავს სკოლაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს, ხოლო სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა დაზუსტებულია სკოლის საშტატო განრიგით (ბრძ. N2-82; 16.03.2026წ). გრაფიკული სახით წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურიდან ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს ანგარიშვალდებულების სისტემა, განსაზღვრულია ვინ ვის დაქვემდებარებაშია და ვის წინაშეა უშუალოდ ანგარიშვალდებული. სკოლის მიერ განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობა დაზუსტებულია სსიპ-ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმეტით (ბრძ. N2-412; 16.12.2025წ.).

სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება: სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისაგან. მათ შორის სპეც.მასწავლებლებისგან (7). სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან. სკოლის ადმინისტრაცია შედგება საქმისმწარმოებლის, საინფორმაციო მენეჯერის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისა და ბიბლიოთეკარისგან. ტექნიკურ პერსონალს მიეკუთვნება: დამლაგებლები (3),ცეცხლფარეში (1), დარაჯი (2). სკოლას საშტატო ნუსხით სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ჰყავს ასევე ექიმი (1), ფსიქოლოგი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტები (12), ენისა და მეტყველების სპეციალისტი (1).

სკოლის სტრუქტურისა და წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები და რგოლები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები (7), მრჩეველთა საბჭო.

დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება საჯარო სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. **ინდიკატორი 3.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბერი N23 სხდომის ოქმით), რომელიც არეგულირებს და განსაზღვრავს სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის საგანამანათლებლო მომსახურების გაწევას. სკოლაში მიმდინარე პროცესების განხორციელებას ხელს უწყობს ისეთი მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორებიცაა სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა. სკოლის მიერ დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში კონკრეტული მიზნების, ამოცანებისა და აქტივობებისთვის განსაზღვრულია კონკრეტული პასუხისმგებელი პირები, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები შეესაბამება პოზიციით განსაზღვრულ თანამდებობრივ აღწერილობას. თითოეული თანამშრომელი თავისი ფუნქცია-მოვალეობის ფარგლებში აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, ისინი განიხილავენ და აჯამებენ მიმდინარე პროცესებს. წლის დასაწყისში სტრუქტურული ერთეულები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრა) გეგმავენ წლის განმავლობაში გასატარებელ ღონისძიებებს, ხოლო წლის ბოლოს წარადგენენ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა მაგ: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, კათედრების სამოქმედო გეგმები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ **ინდიკატორი 3.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბერი N23 სხდომის ოქმით);
- სსიპ-ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები (ბრძ. N2-412; 16.12.2025წ.);
- საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურა (ორგანოგრამა);
- ემისის ბაზა;

- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი (დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის N-8 სხდომაზე);

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ შემუშავებული არაერთი დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში პერსონალის მართვის პროცესებს. სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბერი N23 სხდომის ოქმით, ცვლილება განხორციელდა სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 25 მარტის N6 სხდომის ოქმის საფუძველზე), რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტით განსაზღვრულია: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანები; ადამიანური რესურსების პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები და ამ მიმართულებით პროცესების ორგანიზება. აღნიშნული წესით რეგულირდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა; ასევე მოტივაციის მექანიზმები.

პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით (დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის N-8 სხდომაზე), რომელიც განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსის წესით. ღია კონკურსის შემთხვევაში განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება მასწავლებლის დასაქმების გვერდზე https://teacherjobs.ge/. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო მასალა და დადგინდა, რომ შერჩევა განხორციელდა შესაბამისი რეგულაციების დაცვით. სკოლაში დასაქმებულია ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარების

და კარიერული წინსვლის სქემით“ განსაზღვრული სტატუსის მასწავლებლები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად ხდება თანამშრომელთა წახალისება.

სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის გათვალისწინებით. მასწავლებლებთან დადებულია შრომითი ხელშეკრულებები მათი სტატუსის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 11 ოქტომბრის N959 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების“ შესაბამისად. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის მექანიზმები. სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბერი N23 სხდომის ოქმით, ცვლილება განხორციელდა სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 25 მარტის N6 სხდომის ოქმის საფუძველზე), გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა (მუხლი 4). კერძოდ, პრევენციული მართვის პოლიტიკის განხორციელების კუთხით, შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისთვის, სკოლა უფლებამოსილია, გამოაცხადოს კონკურსი იმ პოზიციაზე, რომელიც არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური. დოკუმენტის თანახმად, სასწავლო წლის დასასრულიდან ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე წინასწარ განისაზღვრება ახალი პოტენციური კლასების რაოდენობა და გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე, ცხადდება კონკურსი ადამიანური რესურსების მოსაზიდად და სხვ. ინტერვენციული მართვის პოლიტიკის განხორციელების კუთხით, კი თანამშრომლის დროებით სკოლაში არყოფნის შემთხვევაში, მისი მოვალეობების გადანაწილება ხანმოკლე ვადით ხდება შიდა კადრზე იმისათვის, რომ არ შეფერხდეს სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესები. დოკუმენტში გაწერილია ამ მიმართულებით დელეგირების პროცესი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია არსებული პრაქტიკიდან ამ მიმართულებით, მაგ: ბრძანება სსიპ ქ. თბილისის N165 საჯარო სკოლაში მე-3[1] კლასის დამრიგებლის დროებით შრომისუნარიანობის გამო დროებით შეჩერებული შრომითი ურთიერთობის პერიოდში დამრიგებლის ფუნქციის დაკისრების შესახებ (ბრძ. N2-317; 27.10.2025წ.) და სხვ.

როგორც სკოლის წარმომადგენლებთან (ადმინისტრაცია, მოსწავლეები) გასაუბრებით დადგინდა სკოლაში მასწავლებლის წინასწარ ცნობილი ან გაუთვალისწინებელი გაცდენის შეთხვევაში, სკოლის მყისიერად აკეთებს საგაკვეთილო ცხრილის

მოდიფიცირებას, გაკვეთილების გადანაცვლებას იმავე საგნის თავისუფალი მასწავლებლის/სხვა მასწავლებლის/დამრიგებლის ჩანაცვლებას გაკვეთილზე.

სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს უფლებამოსილების ფარგლებში საჭირო გადაწყვეტილებებს რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლის შინაგანაწესი და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ინტერვენციებს, რაც პერსონალის მართვის კუთხით მნიშვნელოვანია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები სკოლაში რეგულირდება სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, რომლითაც განსაზღვრულია თანამშრომელთა მიღების წესი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლა გამოსცემს ბრძანებას კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო ვადების შესახებ. დირექტორის ბრძანებით ქმნის საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიებს. კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია ,,ზოგადი განათლების“ კანონისა და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილია საკონკურსო მასალები. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს და ასევე კანონმდებლობის შესაბამის ცნობებს: ,,ნასამართლეობის“, ,,უფლების ჩამორთმევის“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. სკოლის მიერ კონკურსის შესახებ განაცხადი კონკურსის წესის მიხედვით არის განთავსებული https://teacherjobs.ge/. **ინდიკატორი 3.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი (ბრძ. N2-412; 16.12.2025წ.), რომლითაც განსაზღვრულია სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების Eschool - ის ბაზა. როგორც გაირკვა, სკოლის მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსები და აკმაყოფილებენ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს. emis-ის ბაზის შესწავლის შედეგად ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია: 43 უფროსი მასწავლებელი; წამყვანი-3; მენტორი-2; მოწვეული-2; 5-სპეციალური მასწავლებელი; 12-სსსმ მოსწავლის ასისტენტი,

1 ფსიქოლოგი. მოწვეულ მასწავლებლებთან დაცულია კანონმდებლობით გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა. ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებულ ექიმს არ ჰქონდა კანონმდებლობთ გათვალისწინებული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.

სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის დადგენილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტთა მიერ პირადი საქმეების შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმებით დადგინდა, რომ ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს სკოლის მიერ განსაზღვრულ შესაბამისი პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დასაქმებულთა პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად სკოლა უზრუნველყოფს ექიმის მიერ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მოპოვების მიზნით სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას ან დაასაქმებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმს. აქედან გამომდინარე, სკოლამ ექსპერტთა მიერ მიიღო <u>**რეკომენდაცია:**</u> **სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით (08.01.2026-15.09.2026წწ.) სამედიცინო პერსონალის დასაქმება კანონმდებლობით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და <u>შეფასდა როგორც „მეტწილი“.</u>**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოებასთან (სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები) გასაუბრებითა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება სკოლაში შექმნილი თანამშრომლობითი გარემო. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში სამუშაო ჯგუფებში მონაწილოებენ სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრები, რაც პერსონალის მართვაში მათ თანამონაწილეობას უზრუნველყოფს. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები (7), პედაგოგიური, სამეურვეო და მრჩეველთა საბჭოები, რომლებიც პერიოდულად იკრიბებიან და ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ, მსჯელობენ და შეიმუშავებენ სხვადასხვა სასკოლო დოკუმენტებს. **ინდიკატორი 3.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, რაც დასტურდება როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიურებით. სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025

წლის 8 სექტემბერი N23 სხდომის ოქმით, ცვლილება განხორციელდა სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 25 მარტის N6 სხდომის ოქმის საფუძველზე), სკოლას პერსონალის მოტივაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტად განსაზღვრული აქვს წახალისება (მუხლი 10, პუნქტი 2), რომლის სახეები და გამოყენების წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის (დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის N-8 სხდომაზე) მე-10 მუხლით თანამშრომელთათვის და მე-11 მუხლით განსაზღვრულია წახალისების ფორმები მოსწავლეთათვის. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალ პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საჯარო პედაგოგიურ საბჭოზე ხდება წარმატებული მასწავლებლების წარდგენა და მადლობის გამოცხადება. სკოლამ წარმოადგინა მაგ: სსიპ-ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მე-6[2] კლასის დამრიგებლის მადლობის გამოცხადების შესახებ ბრძანება (ბრძ. N1/კ-134; 23.12.2025.). **ინდიკატორი 3.1.2.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბერი N23 სხდომის ოქმით, ცვლილება განხორციელდა სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 25 მარტის N6 სხდომის ოქმის საფუძველზე),
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- სკოლის შინაგანაწესი (დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის N-8 სხდომაზე);
- შრომითი ხელშეკრულებები;

- სსიპ ქ. თბილისის N165 საჯარო სკოლაში მე-3[1] კლასის დამრიგებლის დროებით შრომისუნარიანობის გამო დროებით შეჩერებული შრომითი ურთიერთობის პერიოდში დამრიგებლის ფუნქციის დაკისრების შესახებ ბრძ. N2-317; 27.10.2025წ.;
- სსიპ ქ. თბილისის N 165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქ. თბილისის N165 საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლების ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების ვადების განსაზღვრის შესახებ“ (ბრძ. N1/კ-68; 01.09.2025წ.);
- სამოქალაქო განათლების მიზნით ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით შექმნილი საკონკურსი კომისიის ოქმი N2; 13.09.2025წ.;
- კომისიის შექმნის ბრძანება (ბრძ. N1/კ-72; 02.09.2025წ.);
- საკონკურსოს ოქმი N1; 11.09.2025წ;
- საპრეტენზიო კომისიის ბრძანება; (ბრძ. N1/კ-76; 02.09.2025წ);
- სკოლის შინაგანაწესი (დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის N-8 სხდომაზე);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი (ბრძ. N2-412; 16.12.2025წ.);
- შესაბამისობის გეგმა;
- სსიპ-ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მე-6[2] კლასის დამრიგებლის მადლობის გამოცხადების შესახებ ბრძანება (ბრძ. N1/კ-134; 23.12.2025);
- პედასბჭოს ოქმები;
- კათედრის ოქმები;
- პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბერი N23 სხდომის ოქმით), რომლის მე-9 მუხლი განსაზღვრავს სკოლის პერსონალის შეფასების პროცესს. სკოლაში მოქმედებს პერსონალის (გარდა მასწავლებლისა) შეფასების არაფორმალური ფორმა, რომლის მიზანია თანამშრომელთა შრომითი ეფექტიანობის ზრდა. არაფორმალური შეფასება შეიძლება განხორციელდეს ყოველდღიურად, ყოველკვირეულად ან ყოველთვიურად, რაც დამოკიდებულია სამუშაოს სპეციფიკაზე. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, პერსონალის შეფასება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით და უკუკავშირიც ზეპირსიტყვიერად ხორციელდება. რაც შეეხება მასწავლებლებს, მათი პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება ხდება საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგის შედეგად. თავად საგაკვეთილო პროცესი ფასდება წინასწარ შეთანხმებული შეფასების სქემის მიხედვით. ასევე მოწმდება კურიკულუმის შემუშავების უნარი. სკოლის დირექტორის მოადგილე აკვირდება თანამშრომელთა მიერ სამუშაოს შესრულების პროცესს და ანალიზის საფუძველზე ადგენს პროფესიულ საჭიროებებს. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პერსონალის შესრულებული სამუშაოს შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით: შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; თვითშეფასება; შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება; სამუშაო პროცესზე/საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება და სხვ. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა გაკვეთილზე დასწრების ფორმებიც. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება; სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება; მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს და გააზრებულად იყენებს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს სკოლის რეგულაციების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები-სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბერი N23 სხდომის ოქმით), ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი (ბრძ. N2-424; 19.12.2025წ.), კათედრის დებულება და სხვ. იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს პერსონალის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის (კითვარების მეშვეობით) შედეგები და ანგარიში, ასევე, მათი ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას და აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე არ ფასდება, ექსპერტთა ჯგუფი წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სკოლას უკვე აქვს გამოცდილება მოახდინოს საჭიროებების იდენტიფიცირება და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეიმუშაოს გეგმა, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის განვითარებას. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი თანამშრომელთა პროფესიული ზრდისთვის აქტივობების გეგმა, რომელთა განხორციელებას სკოლა გეგმავს სასწავლო წლის დასრულებამდე. ამ აქტივობებისთვის სკოლა ორიენტირებულია როგორც გარე რესურსების, ასევე შიდა რესურსების გამოყენებაზე, რაც კიდევ უფრო ამყარებს ორგანიზაციულ თანამშრომლობით კულტურას. მათ შორის დაგეგმილია როგორც ფასიანი, ასევე უფასო ტრენინგები. მაგ: რთული ქცევის მართვა (პრაქტიკული კომპონენტები და დაგეგმვა) დაგეგმილია მოწვეული სპეციალისტის ჩრთულობით (ფასიანი ტრენინგი); შიდა სასკოლო ტრენინგები კურიკულუმის, შემაჯამებელი დავალებების შექმნა/წარმოების თაობაზე დაგეემილი იყო დირექტორის მოადგილის და კათედრების ჩართულობით და სხვ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ვიზიტის პერიოდში, სკოლას არ ჰყავდა მასწავლებელი სტატუსის გარეშე და დასაქმებული ჰყავს ყველა სტატუსის მქონე პედაგოგი, რაც დასტურებოდა emis-ის მონაცემებითაც. როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი გაირკვა, პერსონალი მუდმივად იღებს სკოლისგან ინფორმაციას ტრენინგების შესახებ, კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, რაც ემსახურება კარიერულ ზრდას. კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე.

სკოლას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული (5 წლის ვადით, 2024 წლის 23 ოქტომბერი) ა(ა)იპ საქართველოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების პედაგოგიური პრაქტიკით უზრუნველყოფის მიზნით;

ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან (26.12.2024წ. ხუთი წლის ვადით). მემორანდუმი გულისხმობს უნივერსიტეტის სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის, კვლევების და სხვადასხვა ერთობლივი აქტივობის დაგეგმვასა და განხორციელებას სკოლების ბაზებზე.

შპს ,,მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი" (2024 წლის ოქტომბრიდან განუსაზღვრელი ვადით). მემორანდუმი ითვალისწინებს ერთობლივი პროექტების განხორციელებას (კვლევითი საქმიანობის დაგეგმვას, შემუშავებას და განხორციელებას), ერთობლივი კონფერენციების, ფორუმების, მასტრეკლასების განხორციელებას; პერსონალის გამოცდილების ურთერთგაზიარებას; მხარეთა მატერიალური და საგანამანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წინასწარ შეთანხმების საფუძველზე. **ინდიკატორი 3.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ეს პროცესი რეგულირდება სსიპ-ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესის დოკუმენტის შესაბამისად (ბრძ. N2-411; 16.12.2025წ). აღნიშნული წესი გასაზღვრავს ახალ თანამშრომელთან ურთიერთობის დაწყების წესსა და პირობებს. განსაზღვრულია დირექციის ვალდებულებები, რომელმაც ახალ თანამშრომელს უნდა გააცნოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები, სკოლის შინაგანაწესი და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, სამუშაო გრაფიკი. როგორც სკოლის წარმომადმგენლებმა ექსპერტებთან ინტერვიურებისას აღნიშნეს, ხდება მასწავლებლის წარდგენა და მისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სასკოლო რეგულაციების გაცნობა. სკოლა ეხმარება მათ გაეცნოს დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ასევე, გაწერილია ის აქტივობები, რაც უნდა განხორციელდეს სკოლის მიერ და ამ აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლას პერსონალის მოტივაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტად განსაზღვრული აქვს წახალისება, რომლის სახეები და გამოყენების წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის (დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის N-8 სხდომაზე) მე-10 მუხლით (პუნქტი 2) თანამშრომელთათვის და მე-11 მუხლით განსაზღვრულია წახალისების ფორმები მოსწავლეთათვის. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალ პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების

შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საჯარო პედაგოგიურ საბჭოზე ხდება წარმატებული მასწავლებლების წარდგენა და მადლობის გამოცხადება. სკოლამ წარმოადგინა მაგ: სსიპ-ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მე-6² კლასის დამრიგებლის მადლობის გამოცხადების შესახებ ბრძანება (ბრძ. N1/კ-134; 23.12.2025.). სკოლის წარმომადგენლებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, ყოველთვის აქვთ მზაობა მოისმინონ და შეძლებისდაგვარად, გაითვალისწინონ მასწავლებლის ნებისმიერი ინიციატივა. აღნიშნეს, როგორ უწყობენ ხელს პერსონალს სხვადასხვა პროექტებში ჩართვაში ინფორმაციის მიწოდებითა თუ რეკომენდაციების გაწევით. ასევე ეს შეიძლება ეხებოდეს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ინიციატივასაც. მაგ: ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ბუღალტრისთვის ტრენინგის დაფინანსების მიღება-ჩაბარების აქტი (2025 წლის 14 თებერვალი). **ინდიკატორი 3.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბერი N23 სხდომის ოქმით);
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძ. N2-424; 19.12.2025წ.);
- სკოლის შინაგანაწესი (დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის N-8 სხდომაზე);
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- ემისის ბაზა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის თანამშრომელთა პროფესიული ზრდისთვის დაგეგმილი აქტივობების გეგმა (2025-2026 სასწავლო წელი);
- სსიპ-ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება სსიპ-ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ (ბრძ. N2-411; 16.12.2025წ);
- სსიპ-ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მე-6² კლასის დამრიგებლის მადლობის გამოცხადების შესახებ ბრძანება (ბრძ. N1/კ-134; 23.12.2025.);
- ბუღალტრის ტრენინგის დაფინანსების ამსახველი მასალა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას ხარისხის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტით (ბრძ. N2-424; 19.12.2025წ.), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლის მისიის განხორციელებას, სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივ სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათ განვითარებას. დოკუმენტის თანახმად, სკოლაში მიმდინარე ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესების რეგულირებისთვის შექმნილია ცალკეული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლებშიც გაწერილია თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა კონკრეტულ პროცესებზე და შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფაზე. შიდა შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი მოიცავს ,,დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ პრინციპებს. მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ე.წ დემინგის

ციკლის შესაბამისად. დაკონკრეტებულია შემოწმების საფუძველზე შედგენილ დასკვნაში შესატანი აუცილებელი ინფორმაცია. დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის მართვის შიდა და გარე მექანიზმების არსებობას. დეტალურად არის აღწერილი სკოლაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი ეტაპები და რა წარმოადგენს შემოწმების ობიექტს თითოეულ ეტაპზე.
სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და სასწავლო პროცესის შემდგომში გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში ყოველწლიურად ტარდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვები. აღნიშნული გამოკითხვები ხელს შეუწყობს სკოლის საჭიროების გამოვლენას. თუ რა კუთხით სჭირდება სასწავლო პროგრამული, მატერიალური თუ ადამიანური რესურსის კუთხით გაუმჯობესება და შესაბამისი ღონისძიებების/აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება. სკოლის საჭიროებების დადგენით, დირექცია შეძლებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა გამოკითხვის შედეგები/ანალიზი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.3.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი (ბრძ. N2-424; 19.12.2025წ.) გვაწვდის ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების შესახებ. პროცესები აღწერილია შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვა აღწერილია სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგის დოკუმენტში; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტით აღწერილია სკოლის მმართველობითი პროცესები, ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, ბიბლიოთეკის მუშაობის დებულებით, საქმისწარმოების წესით და სხვა. სკოლას გააზრებული აქვს საგანმანათლებლო პროცესების სწორად და ხარისხიანად წარმართვისათვის მმართველობითი და ძირითადი პროცესების ურთიერთგავლენა და მნიშვნელობა. **ინდიკატორი 3.3.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის მიერ წარმოდგენილია სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის დოკუმენტი (ბრძ. N2-416; 16.12.2025წ.), რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე. დოკუმენტი აღწერს საჩივრის წარდგენის ფორმას, ვადებს. მასში განსაზღვრულია სხვადასხვა გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით გასაჩივრების წესი, მაგ: დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგადი წესი და ვადები, უარის თქმის საფუძვლები.

ასევე მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება პირს შეუძლია კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

როგორც ექსპერტების მიერ მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხდება კლასის დამრიგებლების მიერ მოსწავლის მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობებისა და შინაგანაწესის გაცნობა. ასევე, სასკოლო საზოგადოება ეცნობა სკოლის შინაგანაწესს. სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სურვილის შემთხვევაში, ასევე, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის მოქმედებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი დისციპლინური გადაცდომების განსახილველად. სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდ არის გაწერილი დისციპლინური სახდელები და დარღვევათა ტიპები. გარდა ამისა, სკოლასა და მშობელს შორის წარმოქმნილი დავის რეგულირება მოცემულია სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. **ინდიკატორი 3.3.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი; სკოლას ჰყავს 2 მანდატური, ასევე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი; თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი; სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასტურდება ხელშეკრულების და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. სკოლას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ნებართვაზე თანამშრომლებთან და მშობლებთან გაფორმებული აქვს შეთანხმება. **ინდიკატორი 3.3.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძ. N2-424; 19.12.2025წ.);

- ბრძანება სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 19 დეკემბრის ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ N2-424 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ (ბრძ. N2-39; 05.02.2026წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძ. N2-306; 05.12.2023წ);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება 2023 წლის 05 დეკემბრის ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ N2-306; ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ (ბრძ.N2-378. 03.12.2025წ.);
- საქმისწარმოების წესი (ბრძ. N1/კ-143; 25.12.2025წ.);
- სკოლის შინაგანაწესი (დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის N-8 სხდომაზე);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (ბრძ. N2-416; 16.12.2025წ.);
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის დოკუმენტით (ბრძ. N2-413; 16.12.2025წ.) რეგულირდება საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების მეთოდები (მუხლი 4); სკოლა სხვადასხვა არხით იღებს უკუკავშირს მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან. კომუნიკაცია ხორციელდება როგორც პირისპირ შეხვედრებისა და მშობელთა კრებების დროს, ასევე სატელეფონო კომუნიკაციითა და სოციალური ქსელების საშუალებით. როგორც მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა და ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც, სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს ავსებინებს კითხვარს, რომლის მიხედვით ინიშნავს მშობლებისთვის მისაღებ საკომუნიკაციო არხებს და ამის მიხედვით ხელმძღვანელობს მათთან

ურთიერთობისას. მიღებული მოსაზრებები და შენიშვნები სკოლას ეხმარება საჭიროებების იდენტიფიცირებაში და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის რეაგირებაში, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებასა და სკოლაში საგანმანათლებლო მომსახურების გაუმჯობესებას. სკოლას სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გამოცდილება აქვს, რასაც მოწმობს სკოლის ფილოსოფიისა თუ სხვა დოკუმენტებზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, კერძოდ კვლევები და გამოკითხვები forms - კითხვარის საშუალებით, ასევე მშობელთა კრებებზე და დამრიგებლის საათზე განხილული საკითხებთან მიმართებაში მათგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბება. სკოლის ვებგვერდზე და სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში, გაზიარებულ იქნა დოკუმენტების სამუშაო ვერსიები, სადაც პირდაპირი მითითება იყო, სკოლის საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისგან რეკომენდაციების მიღება. მტკიცებულებები წარმოდგენილია ოქმებისა და კითხვარის სახით. **ინდიკატორი 3.3.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი მტკიცებულებები და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების) მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. სკოლის სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში პედაგოგებთან ერთად მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები არიან წარმოდგენილები. მოსწავლეთა თვითმმართველობა არჩევითი ორგანოა, რომელიც ასევე მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში და სხვადასხვა ინიციატივების განხორციელებაში.

სამეურვეო საბჭოს საქმიანობა დადასტურებულია შესაბამისი სხდომების ოქმებით. წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ჩატარებული შეხვედრების ოქმები, სადაც ჩანს ინიციატივების განხილვა და განხორციელება. მოსწავლეებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ თვითმმართველობის წევრები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის მმართველობით პროცესებში. მშობლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, მათი ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. **ინდიკატორი 3.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მშობლებთან ურთერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) (ბრძ. N2-281; 06.11.2023წ.);
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (ბრძ. N2-413; 16.12.2025წ.);
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- კათედრის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო**

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

უსაფრთხოების დაცვის საკითხებში სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მოქმედებს მანდატურის სამსახური 2 მანდატურით. სკოლას გამოყოფილი ჰყავს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი დირექტორის ბრძანებით (ბრძ. N2-210; 20.09.2023წ.). სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით. შესვენებაზე დერეფნებში ხდება მასწავლებელთა მორიგეობა. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მორიგეები აკონტროლებენ, რომ არ მოხდეს თვითნებურად საგაკვეთილო პროცესის მიტოვება მოსწავლის მიერ. გარდა ამისა, როგორც მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებითაც დადგინდა, დამრიგებლები ადგენენ მოსწავლეთა გაცდენის მიზეზს და უნებართვო გაცდენების შემთხვევაში აცნობებენ დირექციას, ასევე მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გაცდენების შესახებ. სკოლას ჰყავს ასევე დარაჯი, რომელიც აწარმოებს შენობის შესასვლელში უცხო პირთა გადაადგილებას შესაბამის ჟურნალში. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე. მოსწავლეებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ იცნობდნენ თავიანთ უფლებებსა და წესებს. სკოლის გარე პერიმეტრი სრულად შემოღობილია და დაცულია ფიზიკური უსაფრთხოება.

- ☑ დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის **უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;** რომელიც შემუშავებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად და მოიცავს სასკოლო პერიოდში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციულ და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს;
- ☑ სკოლას უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული და დამტკიცებული აქვს **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.** დაწესებულებამ წარმოადგინა შეთანხმების წერილიც (18.02.2026. MIA 5 26 00560209). სკოლას დამტკიცებული აქვს **საგანგებო შტაბი** (ბრძ. 2-52; 16.02.2026წ.);
- ☑ სკოლის მიმართვის საფუძველზე (21.01.2026წ. MES 9 26 0000046862), შსს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა სკოლის შენობის **სახანძრო-ტექნიკური შემოწმება.** შემოწმების შედეგად შედგა

მოკვლევის აქტი (N39 – 09.02.2026); სკოლას განსაზღვრული ჰყავს სკოლაში ხანძრის ჩაქრობის, პირველადი საშუალებების შენახვასა და მოქმედებისთვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირები (ბრძ. N2-396; 09.12.2025წ.). ასევე სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები (ბრძ. N2-397; 09.12.2025წ.); უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახანძრო-ტექნიკური შემოწმების დროს გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრისთვის სკოლამ უკვე გადადგა ნაბიჯი. კერძოდ, შუამდგომლობით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, დახმარება გაუწიონ სკოლას სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტში დაფიქსირებული შეუსაბამობების აღმოფხვრაში (კორესპონდენცია: 18.03.2026წ. MES 6 26 0000328172);

- ☑ შპს „რეფორმა ქონსთრაქშენ მენეჯმენტსა და „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, განხორციელდა სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. 2022-2023 წლებში ჩატარებულია გაძლიერებითი სამუშაოები, რომელთა შედეგად სკოლის შენობის სეისმომედეგობა გარკვეულწილად გაზრდილია. სკოლის მიმართვის საფუძველზე (11.12.2025წ. MES 1 25 0001773957) **ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს** მიერ მოხდა შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა და მომზადდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის შესახებ **დასკვნის** მომზადება (30.01.2023წ. N000415526), რომლის თანახმად, შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ექსპლუატაციისთვის ვარგისი. დასკვნაში ასევე ვკითხულობთ რეკომენდაციას, რომ შენობის შემდგომი ხანგრძლივი ექსპლუატაციისთვის საჭიროა ცენტრალური ბლოკის შიდა სივრცეში გაძლიერებითი სამუშაოები სეისმური ნორმების მოთხოვნების შესაბამისად;
- ☑ სკოლას **არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი** და დაწესებულებამ ექსპერტებისგან მიიღო **რჩევა: სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა აკრედიტებულ ორგანიზაციაში;**

სკოლაში ეზოდან შესავლელი ადაპტირებულია შშმ პირთა გადაადგილებისთვის, ხოლო შიდა გადაადგილებისთვის აქვს ლიფტი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი 3.4.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (ბრძ. N2-282; 07.11.2023წ.), სადაც გაწერილია სამედიცინო კაბინეტის მოწყობის წესი, სკოლის სამედიცინო პერსონალი, მათი კომპეტენციები, პაციენტის უფლებები და აღჭურვილობის უსაფრთხოება.

სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც აწარმოებს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვას კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმით, ასევე აღრიცხავს დახარჯულ მედიკამენტებსა და სამედიცინო მასალებს. როგორც ექსპერტებთან გასაუბრებისას ექიმმა აღნიშნა, ყოველი თვის დასაწყისში აღრიცხავს როგორც სამედიცინო მასალებს, ასევე ვადაგადასულ მედიკამენტებს. რაც შეეხება ექიმის კვალიფიკაციას, იგი არ ფლობს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: „პედიატრია“, „საოჯახო მედიცინა“, „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“. ამდენად, ექიმის კვალიფიკაცია ვერ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის აქტივობები (პირველადი სამედიცინო დახმარების სერვისის მიწოდების უზრუნველყოფა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მეშვეობით) და პერიოდი (20.01.2026-15.09.2026). სკოლამ წარმოადგინა ექიმის ინფორმირების წერილი სახელმწიფო სერტიფიკატის მოპოვების შესახებ (21.01.2026წ. MES 0 26 0000043028) და ასევე ექიმის წერილობითი დასტური (21.01.2026წ. 43092) იმის შესახებ, რომ იგი გეგმავს შესაბამისი გამოცდის ჩაბარებას სახელმწიფო სერტიფიკატის მოპოვების მიზნით. შესაბამისობის გეგმის საფუძველზე სკოლამ მიიღო **რეკომენდაცია: უზრუნველყოს სკოლამ პირველადი სამედიცინო დახმარების სერვისის მიწოდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მეშვეობით და აღმოფხვრას ხარვეზი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით (20.01.2026-15.09.2026).** აქედან გამომდინარე **ინდიკატორი 3.4.1.2. შეფასდა როგორც „მეტწილი“.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური. დაწესებულებაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პროცესი რეგულირდება სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის N23 სხდომის ოქმით), რომელიც შემუშავებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად და მოიცავს სასკოლო პერიოდში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციულ და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს.

შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ,,ინფორმირებულობის უზრუნველყოფის“ მონაცემები. სკოლის ტერიტორია აღჭურვილია ვიდეოსათვალთალო კამერებით. სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს პირთა გადაადგილების კონტროლს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო (ბრძანება სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ. ბრძ. N2-218; 09.09.2025წ.), რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს

სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, დისციპლინური დევნა და დისციპლინური წარმოების წესი. როგორც სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, ბავშვის სახლში გაშვება შენობიდან ხდება დამრიგებლის ჩართულობით.

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვა/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები (ბრძ. N2-164; 02.05.2018წ.). ამასთანავე, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (ბრძ. N2-405; 15.12.2025წ.). ექსპერტთა მიერ სკოლის ინფრაქტურქტურის დათვალიერებისას დადგინდა, რომ შენობაში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია თამბაქოს ამკრძალავი ნიშნები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. **ინდიკატორი 3.4.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

დაწესებულებაში ფსიქო-ემოციური უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზნით სკოლის მიერ შემუშავებული არაერთი მარეგულირებელი დოკუმენტი (მოსწავლის ადაპტაციის წესი (ბრძ. N1/კ-140; 25.12.2025წ.); ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი (ბრძ. N2-411; 16.12.2025წ); სადამრიგებლო პროგრამა და სხვ.) უზრუნველყოფს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი. მანდატურის სამსახური ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში რეფერირებას, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გადამისამართება მოხდება მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში.

სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: სპეციალური მასწავლებელი, ასისტენტები და ა.შ., რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სადამრიგებლო საათის ფარგლებში ხდება მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით. კლასის დამრიგებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა პიროვნული განვითარების მხარდაჭერაში. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მრჩეველთა საბჭოს ოქმებით. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. სკოლაში საერთო სარგებლობის სივრცეების არსებობა მოსწავლეებს ეხმარება სოციალიზაციის პროცესში. არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს სკოლაში ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას. ვიზიტის პერიოდში მშობლებთან და საბაზო/საშუალო

საფეხურების მოსწავლეებთან ჩატარებული გასაუბრების დროს გამოხატული იყო კმაყოფილება სკოლაში შექმნილი, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შესახებ. **ინდიკატორი 3.4.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი (ბრძ. N2-59; 23/02/2026წ.), რომლითაც უზრუნველყოფილია სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა. ვიზიტის დროისათვის სკოლის ტერიტორია იყო დასუფთავებული. ყოველი შესრულებული სამუშაოს აღრიცხვა ხდება სკოლის მიერ შემუშავებულ ფორმაში და დასტურდება დამლაგებლის ხელმოწერით. ვიზიტის პერიოდში სკოლას ემსახურებოდა 3 დამლაგებელი. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები გოგონებისა და ვაჟებისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლაში სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული, განთავსებულია ყველა სართულზე. დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სივრცეში პირვანდელი შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ზედამხედველობას უწევს სკოლის ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია და მონიტორინგი გაუწიოს სკოლის შიდა და გარე პერიმენტრის დასუფთავებას და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებულ რეგულაციებს. **ინდიკატორი 3.4.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის პროცესები რეგულირდება სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (ბრძ. N2-417; 16.12.2025წ.). პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციებს სკოლაში ასრულებს ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი (ბრძ. 24.03.2025წ. MES 6 25 0000000031). ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობისა და ანგარიშვალდებულების საკითხის განსაზღვრის წესი (ბრძ.1/კ-15; 26.03.2025წ.).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძ. N2-417; 16.12.2025წ.) განსაზღვრულია სკოლის მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვის უზრუნველყოფა. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს რა ტიპის მონაცემები მუშავდება, რა სახით და რა მიზნით. ასევე

დაზუსტებულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება (მუხლი 16). პერსონალური მონაცემები მუშავდება როგორც ავტომატური, ისე არაავტომატური საშუალებების გამოყენებით. სკოლას მიღებული აქვს მშობელთა და დასაქმებულ პირთა წერილობითი თანხმობა/დასტური პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეების, მშობლების ინტერვიუთი და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.4.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

პირადი მონაცემების დაცვისთვის სკოლას ეხმარება პერსონალისა და მასწავლებელთა მონაცემების დაცვის სისტემები - eFlow, eSchool, ელ.ჟურნალი. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლის ელექტრონულ ჟურნალშიც მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს. საქმისმწარმოებელთან ინახება პირადი საქმეები. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტურ მუშაობაზე, ხოლო პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი აკონტროლებს სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. **ინდიკატორი 3.4.1.7. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის რეკომენდაციების საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რისთვისაც გამოიყენება კითხვარები, რომელთა ანალიზის საფუძველზე სკოლა შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი. უკუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი 3.4.1.8. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოების პოლიტიკა (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის N23 სხდომის ოქმით);
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაზე შეთანხმების მიზნით (16.01.2026. MES 3 26 0000034382);
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების წერილი (18.02.2026. MIA 5 26 00560209);
- სსიპ-ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ-ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ“ (ბრძ. 2-52; 16.02.2026წ.);
- შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში წერილი (21.01.2026წ. MES 9 26 0000046862);
- შსს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული მოკვლევის აქტი (N39 – 09.02.2026);
- სსიპ ქ. თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქ. თბილისის N165 საჯარო სკოლაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“ (ბრძ. N2-397; 09.12.2025წ.);
- სსიპ ქ. თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქ. თბილისის N165 საჯარო სკოლაში ხანძრის ჩაქრობის, პირველადი საშუალებების შენახვასა და მოქმედებისთვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“ (ბრძ. N2-396; 09.12.2025წ.);
- სკოლის მიმართვა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში (11.12.2025წ. MES 1 25 0001773957);
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (30.01. 2023წ. N000415526);
- ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაგზავნილი წერილი სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტში დაფიქსირებული შეუსაბამობების აღმოფხვრასთან დაკავშირებით (18.03.2026წ. MES 6 26 0000328172);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (ბრძ. N2-282; 07.11.2023წ.);
- ბრძანება სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ (ბრძ. N2-218; 09.09.2025წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. N2-164; 02.05.2018წ.);

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ (ბრძ. N2-405; 15.12.2025წ.);
- მოსწავლის ადაპტაციის წესი (ბრძ. N1/კ-140; 25.12.2025წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი (ბრძ. N2-411; 16.12.2025წ);
- სსიპ - ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ - ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ (ბრძ.N2-59; 23/02/2026წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (ბრძ. N2-417; 16.12.2025წ.);
- ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაგზავნილი წერილი (24.03.2025წ. MES 0 25 0000322029);
- ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის კორესპონდენცია (24.03.2025წ. MES 6 25 0000000031);
- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობისა და ანგარიშვალდებულების საკითხის განსაზღვრის შესახებ (ბრძ.1/კ-15; 26.03.2025წ.);
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- შესაბამისობის გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა ახლად რეაბილიტირებულია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ. საჯარო რეესტრის ამონაწერით, სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლა მდებარეობს ქალაქ თბილისში ზაქარია ფალიაშვილის ქ N57. (ს/კ.204859974). განთავსებულ ოთხსართულიან შენობაში. დაზუსტებული ფართობია 3535.00.კვ.მ. სკოლის შენობა (შენობა-ნაგებობები N1, N2, N3, N4) შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა არსებობის ვადით. სკოლის ეზოში ასევე განთავსებულია საქვაბე, რომელშიც დაცულია უსაფრთხოების ნორმები.

პირველ სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები - ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, მანდატურის ოთახი, რესურსოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული საპირფარეშო, დამხმარე სივრცეები მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისთვის, ცალკე ოთახი დამლაგებლებისთვის, ასევე იზოლირებულია სკოლის ეზოშივე ხელოვნების ოთახი, რომელიც იჯარითაც გაცემულია (გაკვეთილების შემდგომ პერიოდში). მეორე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, დირექციისთვის ოთახები (დირექტორი, მოადგილე, კანცელარია, ბუღალტერი), სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი თავისი გასახდელებით, რესურსოთახი, ბუფეტი, სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული ვაჟებისა და გოგონებისთვის. მესამე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, რესურსოთახი, დახურული სივრცე არქივისთვის; მეოთხე სართულზე: ორი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია გამწოვი სისტემით. სააქტო დარბაზი, სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული ვაჟებისა და გოგონებისთვის.

სკოლაში ფუნქციონირებს ჯამში 32 საკლასო ოთახი, რომელიც სრულად აღჭურვილია საჭირო ინვენტარით: მერხით (ასაკობრივი დონეების შესაბამისად), სკამით, დაფითა და სხვა სასკოლო ავეჯით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 31 კომპიუტერი, პრინტერი და პროექტორი. შესაბამისი ინვენტარით, სასწავლო რესურსით არის აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, თუმცა სკოლამ ლაბორატორიის სრულყოფილად აღჭურვის თაობაზე მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (10.11.2025წ. MES 1 25 0001572653). სკოლის ბიბლიოთკა მოიცავს სასწავლო და მხატვრულ ლიტერატურას, ასევე სახელმძღვანელოებს. სკოლის ეზოში განთავსებულია

გარე სპორტული მოედანი, დასასვენებელი სივრცეები. სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლის შენობის მესაკუთრეა სახელმწიფო, სკოლას ქონება გადაცემული აქვს არსებობის ვადით, რაც იძლევა გარანტიას, რომ ავტორიზაციის პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალური რესურსით. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 693 მოსწავლე, მათ შორის 39 სსსმ მოსწავლე. სკოლაში სწავლა ხორციელდება 1 ცვლაში. ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლამ მიიღო **რჩევა: სასურველია, მომიჯნავე შენობიდან უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, სპორტულ დარბაზთან არსებული გოგონების გასახდელში პრივატულობის უზრუნველსაყოფად ფანჯრებზე ფარდის გაკეთება.**

<u>აღნიშნული რჩევა სკოლამ გაითვალისწინა, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოდგენილი ფოტომასალით. გოგონების გასახდელში დაცულია პრივატულობა.</u> **ინდიკატორი 3.5.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და იძლევა სხვადასხვა აქტივობების სრულფასოვანი ჩატარებისა და დასვენების საშუალებას. სკოლას აქვს საერთო სარგებლობის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც კომპიუტერების რაოდენობა გათვლილია თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალურად, ფიზიკის კაბინეტი, ქიმია-ბიოლოგის ლაბორატორია, სკოლის ეზო ასევე ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, სადაც დირექციის განმარტებით შესაძლებელია სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების გამართვა; ღია სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, სამასწავლებლო, რომელშიც ყველა პედაგოგისთვის განთავსებულია კარადა. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი, ინტერნეტით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, ბუფეტი. სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძ. N2-414; 16.12.2025წ.), რომლითაც განსაზღვრული რეგულაციები ხელს უწყობს სკოლაში არსებული საზიარო სივრცეების შესაბამისი მატერიალური რესურსით შეუფერხებლად გამოყენებას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 3.5.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში ბიბლიოთეკით სარგებლობის პროცესი რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესის შესაბამისად (ბრძ. N2-415; 16.12.2025წ.). ასევე ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები განსაზღვრულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დოკუმენტითაც (მუხლი 8) (ბრძ. N2-414;

16.12.2025წ.). ბიბლიოთეკა განთავსებულია პირველ სართულზე. ერთ სივრცეშია წიგნსაცავი და სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მოსწავლეს და მასწავლებელს. სასკოლო ბიბლიოთეკაში თაროებზე წიგნები განთავსებულია კატალოგის მიხედვით. სკოლას აქვს ფორმულარები, რომლითაც ხდება ძირითადად მხატვრული ლიტერატურის გაცემა მოსწავლეებზე. ბიბლიოთეკაში არის 3 ლეპტოპი და 1 კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აღირიცხება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც აღინიშნება: ინვენტარის ნომერი, წიგნის ავტორის სახელი და გვარი, წიგნის სათაური, ინდექსი, გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი და შენიშვნა. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კლასისა და ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და დამხმარე რესურსი. ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდი შეადგენდა 3016 წიგნად ერთეულს. **ინდიკატორი 3.5.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია და ქმნის ინკლუზიურ გარემოს. შენობას ეზოდანვე აქვს პანდუსები, ხოლო სართულებზე გადაადგილებისთვის სკოლას აქვს ლიფტი და სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული რესურსოთახები. შენობის ყველა სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები ვაჟებისა და გოგონებისთვის. სკოლის გარემო ადაპტირებულია და მორგებულია შშმ პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებლები, სსსმ პირის ასისტენტები და ფსიქოლოგი. რესურსოთახები აღჭურვილია სხვადასხვა რესურსებით. სპეც. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი ადგენენ თითოეული საჭიროების მქონე ბავშვის განვითარების გეგმას, იძენენ საჭირო რესურებს ან თავად ქმნიან მოსწავლის საჭიროების შესაბამისად. **ინდიკატორი 3.5.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ეზო სკამებით, ეზო მოპირკეთებულია და შესაძლებლობას ქმნის იყოს სოციო-კულტურული სივრცე. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი და დახურული სპორტული დარბაზი სპორტული ღონისძიებების განსახორციელებლად. სააქტო დარბაზი და კომპიუტერული ლაბორატორები საინტერესო ღონისძიებებისა და პროექტების პრეზენტაციისთვის. სამასწავლებლოში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო, რაც ხელს უწყობს გუნდური საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. ყველა პედაგოგისთვის განკუთვნილია კარადა პირადი ნივთების შესანახად. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. შესაბამისად **ინდიკატორი 3.5.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძ. N2-414; 16.12.2025წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (ბრძ. N2-415; 16.12.2025წ.);
- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- აზომვითი ნახაზები;
- საევაკუაციო გეგმები;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გაგზავნილი წერილი ლაბორატორიის აღჭურვის თაობაზე (10.11.2025წ. MES 1 25 0001572653);
- ინვენტარიზაციის დოკუმენტები;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის მიერ შემუშავებული სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის (ბრძ. N2-414; 16.12.2025წ.) მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. ასევე ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. IT ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, კერძოდ ლაბორატორიაში განთავსებულია თითოეული მოსწავლისთვის კომპიუტერი და ასევე მასწავლებელისთვის (ჯამში 31 ერთეული). ის გამიზნულია საგაკვეთილო, სადემონსტრაციო მიზნებისთვის.

მასწავლებლებისთვის კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია როგორც სამასწავლებლოში, ასევე ბიბლიოთეკაში, სადაც განთავსებულია 3 ლეპტოპი. გარდა ამისა, კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილია სკოლის ადმინისტრაციაც, ინტერნეტი ხელმისაწვდომია სკოლის მთელ სივრცეში. მშობელთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეები დაცულნი არიან არასანდო პლატფორმებით სარგებლობისგან, აღნიშნული საკითხები გაწერილია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესში. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკის დიდი რაოდენობა, კერძოდ, პორტატული კომპიუტერი-67, პერსონალური კომპიუტერი-50, პრინტერი-8, პროექტორი-6. **ინდიკატორი 3.6.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია და გამოიყენება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით და არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის ხელშეწყობისათვის. სკოლაში გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტები, მართვის საინფორმაციო სისტემები, teams-ის პორტალი, ელექტრონული ჟურნალი, სკოლას აქვს შექმნილი სოციალური გვერდი კომუნიკაციისთვის და სიახლეების გაზიარებისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისთვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. სკოლის მიერ შემუშავებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძ. N2-414; 16.12.2025წ.). **ინდიკატორი 3.6.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი(ბრძ. N2-414; 16.12.2025წ.);
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი (ბრძ. N1/კ-143; 25.12.2025წ.), რომელიც ადგენს მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს და სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის, ამ დოკუმენტში დარეგულირებულია დოკუმენტების მომზადების, მიღების, გაგზავნის, შენახვის წესები. სკოლას შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული („eflow") და მატერიალური ფორმით. მატერიალური ფორმით აღირიცხება ხელშეკრულებები. სკოლა საქმისწარმოების წესის შესაბამისად აწარმოებს შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. სკოლაში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებელთან ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები, რომლებიც განთავსებულია თაროებზე.

სკოლაში ნაწარმოები დოკუმენტაცია ინახება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის N174 ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესის" დაცვით, კონკრეტული სახის დოკუმენტების შესანახად განსაზღვრული ვადის განმავლობაში. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მუდმივად შესანახი (10 წელი და მეტი ვადით) დოკუმენტაცია გადაეცემა საქალაქო არქივს, ხოლო ნაკლები ვადით შესანახი დოკუმენტაცია ნადგურდება. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემოწმდა სკოლის მიერ არქივისთვის გამოყოფილი სივრცე, რომელშიც განთავსებული დოკუმენტაცია ინახებოდა კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის არქივის წარმოებაზე და დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი.

ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლისას სკოლის სახელით გამოცემულ რამდენიმე ბრძანებაში (01.09.2-25 – 2-199; 01.09.2026 – 1/კ-68; 05.09.2025 – 2-205; 23.12.2025 – 1/კ-134;) აღმოჩენილ იქნა ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ, დირექტორის შვებულებაში ყოფნის პერიოდში გამოცემულ ბრძანებებში, ბრძანების გამომცემ პირად მითითებულია სკოლის დირექტორი, ხოლო ხელს აწერს დირექტორის მოადგილე. ამასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მოვალეობის შემსრულებლად რეგისტრირებულია დირექტორის მოადგილე. შესაბამისად, დირექტორთან შრომითი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში ხელმომწერ პირს წარმოადგენდა სწორედ დირექტორის მოადგილე, რაც შესრულებულია კიდეც. ამ გარემოებასთან დაკავშირებით ვიზიტის პერიოდში სკოლამ დამატებით წარმოადგინა დირექტორის მოადგილის 2026 წლის 24 მარტის სამსახურეობრივი ბარათი (MES 7 26 0000354273) და სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ზოგიერთ ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ ბრძანებები (ბრძ. N2-86; 24.03.2026; ბრძ. N1/კ-47; 24.03.2026წ.) **ინდიკატორი 3.6.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის („eflow") საშუალებით. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება, რომელიც რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად (მუხლი 4 და მუხლი 5). **ინდიკატორი 3.6.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შემოწმდა eSchool-ის ბაზები, რომლებიც სრულყოფილია, შევსებულია ყველა სავალდებულო ველი. ამავე სისტემაში ხდება მოსწავლის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, კლასის ცვლილების განხორციელება, ასევე საგაკვეთილო ცხრილებისა და განრიგის შეტანა. შეტანილი აქვთ სკოლის პერსონალის და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები და ა.შ. **ინდიკატორი 3.6.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

საქმისწარმოების პროცესის შესწავლით დგინდება, რომ დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. კერძოდ, სკოლა

კანონმდებლობის შესაბამისად რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციას საგანმანათლებლოს საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს და თანამშრომლობს მათთან. **ინდიკატორი 3.6.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი (ბრძ. N1/კ-143; 25.12.2025წ.);
- საქმისმწარმოებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- 2026 წლის 24 მარტის სამსახურეობრივი ბარათი (MES 7 26 0000354273);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ზოგიერთ ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ ბრძანებები (ბრძ. N2-86; 24.03.2026; ბრძ. N1/კ-47; 24.03.2026წ.);
- შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამა E-flow;
- მარეგულირებელ უწყებებთან უკუკავშირის მასალები;
- ვიზუალური დათვალიერება;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (ბრძ. N2-413; 16.12.2025წ.), რომლითაც განისაზღვრება საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირების წესი

და ა.შ. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

სკოლას აქვს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებგვერდი. სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლა რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის სოციალურ ქსელშიც ასსამოცდამეხუთე საჯარო სკოლა თბილისი განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სკოლაში საქმისმწარმოების პროცესი ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow-თი, მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ით შემოსულ ინფორმაციას საქმისმწარმოებელი სისტემატურად აწვდის ადრესატს და დაინტერესებულ პირებს. სკოლა საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციისას ასევე ხელმძღვანელობს მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგიის) დოკუმენტის შესაბამისად (ბრძ. N2-281; 06.11.2023წ.). მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება: მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით); ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით; სისტემატური კომენტარებით I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში; მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს; ვიზიტის პერიოდში ექსპერტებთან გასაუბრებისას მშობლებმაც და ადმინისტრაციამაც აღნიშნეს, რომ მშობლებთან კომუნიკაციისას აქტიურად გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი, თიმსის პლატფორმა და სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფები. შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ხდება ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. **ინდიკატორი 3.6.3.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო ინფორმაციის გავრცელებას. გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა დასტურდება სკოლაში რეალურად განხორციელებული პროცესებით. სკოლის დირექციამ ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობას იღებს განთავსებული ინფორმაციის სისწორეზე. ამასთანავე ვიზიტის პერიოდში მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებითაც დასტურდება საკომუნიკაციო არხებით სკოლიდან მიღებული ინფორმაციის სანდოობა. გასაუბრების დროს სკოლის წარმომადგენლებმა ექსპერტებთან აღნიშნეს, რომ ვებგვერდის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირად სკოლას განსაზღვრული ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც სკოლის დირექციასთან შეთანხმებული ფორმის შესაბამისად, ახორციელებს სკოლის თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას სკოლის მიერ განხორციელებული, მიმდინარე თუ დაგეგმილი სიახლეების, პროექტებისა და პროგრამების შესახებ. იგი

სკოლის დირექციასთან შეთანხმებით ამზადებს ინფორმაციას სოციალურ ქსელებში და ვებ-გვერდზე განსათავსებლად. იგი თავადვე ტვირთავს აღნიშნულ ინფორმაციას სკოლის საკომუნიკაციო პლატფორმებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.6.3.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის დოკუმენტით (ბრძ. N2-413; 16.12.2025წ.) რეგულირდება საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების მეთოდები (მუხლი 4); მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება პირველადი ავტორიზაციის პროცესში, უნდა აღინიშნოს სკოლის გამოცდილება ამ მიმართულებით. სკოლა სხვადასხვა არხით იღებს უკუკავშირს მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან. კომუნიკაცია ხორციელდება როგორც პირისპირ შეხვედრებისა და მშობელთა კრებების დროს, ასევე სატელეფონო კომუნიკაციითა და სოციალური ქსელების საშუალებით. როგორც მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა და ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც, სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს ავსებინებს კითხვარს, რომლის მიხედვით ინიშნავს მშობლებისთვის მისაღებ საკომუნიკაციო არხებს და ამის მიხედვით ხელმძღვანელობს მათთან ურთიერთობისას. მიღებული მოსაზრებები და შენიშვნები სკოლას ეხმარება საჭიროებების იდენტიფიცირებაში და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის რეაგირებაში, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებასა და სკოლაში საგანმანათლებლო მომსახურების გაუმჯობესებას. როგორც ექსპერტებთან სასკოლო საზოგადოების წევრებმა აღნიშნეს, მაგ: სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევის მიზნით ჩატარდა გამოკითხვა და მათი შეხედულებებისა და პრიორიტეტების მიხედვით მოხდა სკოლის ფილოსოფიის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება. **ინდიკატორი 3.6.3.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე, აქვს ვებგვერდი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში www.skolebi.emis.ge სადაც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი 3.6.3.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული**

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლას აქვს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge შესაბამისი გვერდი, სადაც განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები; სტრუქტურა; სტრატეგიული და 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები; 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები (პირველი სემესტრის); სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები; გასაჩივრების მექანიზმები; შინაგანაწესი; ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა; ინფორმაცია სკოლის ბიუჯეტის შესახებ; საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი 3.6.3.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. N2-413; 16.12.2025წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგიის) დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. N2-281; 06.11.2023წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლა
- ასსამოცდამეხუთე საჯარო სკოლა თბილისი
- სკოლის ვებგვერდი;
- მშობელთან ურთიერთობის კითხვარი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წარმოადგინა ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 09 დეკემბრის სხდომაზე (N30 ოქმი). სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯვით ნაწილში.
სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას. ბიუჯეტი ითვალისწინებს დასაქმებულ პირთა ხელფასს, კომუნალურ ხარჯებს და სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შესყიდვას. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლას ასევე აქვს დამატებითი ეკონომიკური შემოსავლები, კერძოდ, კანონმდებლობის შესაბამისად იჯარით აქვს გაცემული შენობის სივრცეები სხვადასხვა წრეების ფუნქციონირებისთვის (არასაგაკვეთილო პერიოდში) და კვების ობიექტი. სკოლამ იჯარით ფართის გაცემა განახორციელა კანონმდებლობის დაცვით, მაგ: ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილია: სამინისტროს თანხმობა ბუფეტის იჯარით გაცემაზე (2025.24.12; MES 8 25 0001833803); სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა ფართის იჯარით გაცემაზე (16.01. 2026წ. KA021748808864626); სამეურვეო 2025 წლის 18 დეკემბრის საბჭოს სხდომის ოქმი N31; კვების ობიექტის იჯარის ხელშეკრულება (N1-26; 02.02.2026წ.); აუქციონის ამსახველი მასალა; აუდიტის დასკვნა.

სკოლას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულებები სპორტული წრეების ფუნქციონირებისთვის (N1-2025); საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციონირების მიზნით (N2/2025); საბალეტო სტუდიისთვის (N3/2025); ქართული ხალხური ცეკვის წრისთვის (N4-2025); ხატვის წრისთვის (N5-2025). სკოლა ფინანსურად მდგრადია და უზრუნველყოფს ფინანსური რესურსით განახორციელოს სამოქმედო გეგმა. **ინდიკატორი 3.7.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანის საკითხი. როგორც ექსპერტებთან გასაუბრებისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, საბიუჯეტო გეგმის შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებისა და პროექტების განსახორციელებელი საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ. სკოლას შემუშავებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი (ბრძ. N2-339; 13.11.2025წ). შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს სკოლის ბუღალტერი. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შეაქვს სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინება სკოლის ფინანსური საქმიანობის ანგარიში. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული პროცესების ამსახველი დოკუმენტაცია და დასტურდება სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიურებით. **ინდიკატორი 3.7.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N30; 09.12.2025წ.;
- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიში;
- შესყიდვების დოკუმენტაცია;
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯაროს სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესისა და შესყიდვების წლიური გეგმის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ (ბრძ. N2-339; 13.11.2025წ);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯაროს სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის 2026 წლის სახელწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. N2-345; 17.11.2025წ);

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- წრეების ხელშეკრულებები;
- იჯარის დოკუმენტაცია;
- სამინისტროს თანხმობა ბუფეტის იჯარით გაცემაზე (2025.24.12; MES 8 25 0001833803);
- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა იჯარით გაცემაზე (16.01. 2026წ. KA021748808864626);
- სამეურვეო 2025 წლის 18 დეკემბრის საბჭოს სხდომის ოქმი N31;
- აუქციონის ამსახველი მასალა;
- აუდიტის დასკვნა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში შემუშავებულია და მოქმედებს შიდა რეგულაციები, რომლებიც სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები მოიცავს დისციპლინურ წესებს, უსაფრთხო სასკოლო გარემოს, თანასწორ მოპყრობას, დისკრიმინაციის დაუშვებლობას, მოსწავლის აზრის გამოხატვის უფლებასა და მის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრინციპს. რეგულაციები პრაქტიკაში გამოიყენება და წარმოადგენს სკოლის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილს. აღნიშნული დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით:

- **სკოლის შინაგანაწესი,** რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები;
- **პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა** (ბრძ. N2-417; 16.12.2025წ.), რომლითაც ხდება მოსწავლის პერსონალური ინფორმაციის დამუშავების პროცესის რეგულირება საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად;
- **განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი** (ბრძ. N2-416; 16.12.2025წ.), რომელიც არეგულირებს საჩივრის წარდგენის ფორმას, ვადებს;
- **სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესი** (ბრძ. N1/კ-142; 25.12.2025წ.);
- **სასკოლო სასწავლო გეგმა,** რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ, სადაც მოცემულია ინფორმაცია სასწავლო პროცესის ფარგლებში მოსწავლეთა უფლებების შესახებ.
- **უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა** (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის N23 სხდომის ოქმით), რომელიც შემუშავებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად და მოიცავს სასკოლო პერიოდში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციულ და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს;
- **მოსწავლეთა ადაპტაციის წესი** (ბრძ. N1/კ-140; 25.12.2025წ.), რომელშიც აღწერილია მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები;
- სკოლის მიერ შემუშავებული კოლეგიალური სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რომლებიც არეგულირებენ მოსწავლეთა უფლებების საკითხს სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში მათი წარმომადგენლითობით, როგორიცაა: მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი და სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მათი ჩართულობით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტისა და რეგულაციის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 4.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ისინი გაზიარებულია სკოლის ოფიციალური ვებგვერდისა სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლა და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით (სკოლის საინფორმაციო დაფა), ასევე განიხილება მშობლებთან (მშობელთა კრება), მოსწავლეებთან (დამრიგებლის საათი) და პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრებისა და საკლასო საათების ფარგლებში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს რეგულაციების გამჭვირვალობას, მათი შინაარსის გააზრებას და პრაქტიკაში სწორად გამოყენებას. შესაბამისად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭირვალეა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისია. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებები, მშობლებსა და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია. **ინდიკატორი 4.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მოსწავლეს/მის კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი მშობელთა კრებაზე დეტალურად ეცნობა ხელშეკრულების პირობებს მოსწავლეებისა და სკოლის კანონიერ უფლება მოვალეობებს, რასაც ადასტურებს ხელმოწერით. ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის გაწერილი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებულია მოსწავლეთა კანონიერი ინტერესები და საჭიროებები. ექსპერტთა ჯგუფმა სკოლაში ვიზიტის დროს დაათვალიერა მშობელთა ხელშეკრულებები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ყველა ხელშეკრულება ხელმოწერილია დირექტორის და მშობლის მიერ. ხელშეკრულება

დგება ორ ეგზემპლარად, ერთი რჩება როგორც წესი სკოლაში - მეორე ეძლევა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. **ინდიკატორი 4.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (ბრძ. N2-417; 16.12.2025წ.);
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (ბრძ. N2-416; 16.12.2025წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესი (ბრძ. N1/კ-142; 25.12.2025წ.);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის N23 სხდომის ოქმით);
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (ბრძ. N1/კ-140; 25.12.2025წ.);
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- სკოლის ვებგვერდი სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს სკოლა ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესების და პროცედურების შესაბამისად. სკოლას შემუშვებული აქვს სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესი (ბრძ. N1/კ-142; 25.12.2025წ.). აღნიშნული დოკუმენტი

არეგულირებს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის პროცედურას. ასევე დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასებში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით მოსწავლეთა ჩარიცხვის პროცედურებს. იგივე დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლის სტატუსის შეჩერება/აღდგენის პროცესი; საფეხურის დაძლევა. დეტალურად არის აღწერილი მობილობის პროცედურა. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ბრძანების ნიმუშები სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სკოლიდან ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების შესახებ. **ინდიკატორი 4.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება, რაც დასტურდება სკოლის შიდა მარეგულირებელი წესების, ბრძანებების, მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით. **ინდიკატორი 4.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, საგანმანათლებლო პროგრამების, მათი სპეციფიკის, აგრეთვე მომსახურებისთვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე გაზიარებულია სოციალური ქსელის საშუალებით. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სკოლას სხვადასხვა დოკუმენტის სახით აქვს გაწერილი წლის მანძილზე შესასრულებელი აქტივობებისა და ღონისძიებების ჩამონათვალი/გეგმა, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას წინასწარ განისაზღვროს მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევები, შედეგები და შესაბამის ქცევაზე რეაგირების ფორმები. წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი 4.1.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

ინდიკატორით გათვალისწინებული პროცესი რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის" დოკუმენტით, ასევე ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მშობლებთან ურთერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგიის)" დოკუმენტის შესაბამისად (ბრძ. N2-281; 06.11.2023წ.). სკოლის საკომუნიკაციო საშუალებების მართვაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც სკოლის დირექციასთან შეთანხმებულად ახორციელებს სკოლის თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას სკოლის მიერ განხორციელებული, მიმდინარე თუ დაგეგმილი სიახლეების, პროექტებისა და პროგრამების შესახებ. ასევე ამზადებს ინფორმაციას სოციალურ ქსელებში და ვებგვერდზე განსათავსებლად. იგი თავადვე ტვირთავს აღნიშნულ ინფორმაციას სკოლის საკომუნიკაციო პლატფორმებზე და პასუხობს საზოგადოების უკუკავშირს.

სკოლაში განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, თავსდება სკოლის ვებგვერდზე, ასევე იკვრება საინფორმაციო დაფაზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ფეისბუქ გვერდზე, დახურულ სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს ხელი მიუწვდება სკოლაში არსებულ რესურსებზე. აღნიშული ინფორმაცია ასახულია სასკოლო გეგმაშიც, რომელიც ასევე გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. აქტივობებისა და ღონისძიებების სოციალურ ქსელში განთავსებამდე სკოლის ადმინისტრაცია მშობლისგან იღებს თანხმობას. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. აღნიშნული გადამოწმდა უშუალოდ ვიზიტისას სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით. **ინდიკატორი 4.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესი (ბრძ. N1/კ-142; 25.12.2025წ.);
- Eschool-ბაზა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. N2-413; 16.12.2025წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მშობლებთან ურთერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგიის)“ დამტკიცების შესახებ (ბრძ. N2-281; 06.11.2023წ.);
- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- სკოლის ვებგვერდი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (ბრძ. N1/კ-140; 25.12.2025წ.), რომელშიც რეკომენდაციის სახით გაწერილია ნაბიჯები მშობლების და მასწავლებლების მხრიდან, იმისათვის რომ ადვილად მოხდეს მოსწავლის შეგუება ახალ გარემოსთან. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს უმტკივნეულოდ შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; წესი

აგრეთვე მოიცავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს; პირველკლასელთა ადაპტაციას; სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას; მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას; დეზადაპტაციის ნიშნების განსაზღვრას; დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელ ღონისძიებებს და მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პროცედურებს პირველ დღეებში. **ინდიკატორი 4.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

მიუხედავად იმისა, რომ პირველადი ავტორიზაციის პროცესში აღნიშნული ინდიკატორი არ ივსება, ექსპერტთა ჯგუფი სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკს საკლასო გარემოს მოწყობისას. მაგალითად, ავეჯის შესაბამისობა ასაკთან, სივრცე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. სწავლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სკოლა იწვევს პირველკლასელ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მასწავლებლებისა და გარემოს გასაცნობად. დამრიგებლებს სადამრიგებლო პროგრამით გაწერილი აქვთ ადაპტაციის შესაბამისი აქტივობები.

სკოლა ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ტრანზიციის საკითხზეც. აღნიშნული საკითხების რეგულირებაში ჩართულები არიან სკოლის დირექცია - ადმინისტრაციასთან ერთად, კლასის დამრიგებლები და მოსწავლეები. სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ერთვებიან სპეციალური მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში, ასისტენტი. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ისგ ჯგუფები, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. სკოლას აქვს რამდენიმე რესურსოთახი. **ინდიკატორი 4.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით პედაგოგები მიმართავენ რემედიაციულ პროცესებს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს საკონსულტაციო შეხვედრებით ინდივიდუალური ან ჯგუფური დამატებითი გაკვეთილების სახით; შესაძლოა მოსწავლეს მასწავლებლის ხელმძღვანელობით შესასრულებელი ჰქონდეს დამოუკიდებელი სამუშაოები.

სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი. ექსტერნის გამოცდების წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით უტარდებათ კონსულტაციები. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მაგ: სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის საშემოდგომო გამოცდების დანიშვნისა და რემედიაციის პროგრამის შედეგების

შესახებ“ (ბრძ. N2-199; 01.09.2025წ.). სკოლა უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დროულად ინფორმირებას მათი აკადემიური მიღწევების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმით რეგულირდება შინ სწავლების პროცესიც, რომელიც განკუთვნილია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვის ან მეტი ვადით.

სკოლაში სსსმ მოსწავლების აკადემიური შედეგებისთვის საგნის მასწავლებლებთან ერთად პროცესში ჩართული არიან კვალიფიციური სპეციალური მასწავლებლები, ასისტენტები, რომლებიც მოსწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით მუდმივად თანამშრომლობენ საგნის მასწავლებლებთან. აღნიშნული დადასტურდა როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით, ასევე უშუალოდ პედაგოგებთან/სპეციალურ მასწავლებლებთან გასაუბრებითაც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლისგან მოსწავლე იღებს სათანადო მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი 4.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით გამოიხატება სკოლის მოსწავლეთა შესაძლებლობების წარმოჩენის ხელშეწყობაში - სკოლის დირექცია მხარდაჭერას უწევს მოსწავლეთა ინიციატივებს, რისთვისაც შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი (ბრძ. 1/კ-141; 25.12/2025წ.). სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს ინოვაციური იდეებისა და ხედვების რეალიზაციაში, საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ ლაბორატორიას, სააქტო დარბაზს, ეზოს, სპორტულ მოედანს, სპორტულ დარბაზს. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს თვითმმართველობა (მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება (ბრძ. N2-296; 08.10.2025წ.) და სკოლაში არსებული სხვადასხვა კლუბი.

კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებს (ნიშნის ამაღლება, კლასის ან საფეხურის ექსტერნის წესით დასრულება და მრავალი სხვ.), რაც ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაშიც და ეცნობიან განხორციელების მექანიზმებს. ასევე სკოლას საქმისწარმოების წესში გაწერილი აქვს ყველა წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისი რეალისტური ვადები. მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება, რაც დადასტურდა მშობლებთან და საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან გასაუბრებითაც. **ინდიკატორი 4.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმის დოკუმენტი, რომლითაც აქტიურად ხელმძღვანელობს. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებები, მასწავლებლებთან, მშობლებსა და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია. სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, ექსკურსია, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრი. სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის; „სტემ კლუბი“ (VII–XI კლასის ნებისმიერი მოსწავლისთვის, რომელსაც აქვს ინტერესი STEAM მიმართულებით.); სკოლის ლიტერატურული კლუბი (X-XI კლასების მოსწავლეებისთვის) - ,,ქართველი მწერლების კვალდაკვალ“; კლუბი ,,ღირებულებითი განათლება“ და სხვ. **ინდიკატორი 4.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია) მოსწავლეთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. სხვადასხვა კითხვარის გაზიარება ხდება სოციალური ქსელის ჯგუფებში, ასევე სკოლაში ისტ-ის კაბინეტში. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებები (შევსებული კითხვარები და გაანალიზებული შედეგები) და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია. ინტერვიურების დროს მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლამ გაითვალისწინა მათ თხოვნა და უკვე მიმდინარე სასწავლო წელს, სკოლმა მოსწავლეებს შესთავაზა სხვადასხვა წრეები. როგორც ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დაზუსტდა, სკოლაში ფუნქციონირებს ქართული ხალხური ცეკვის წრე, საბალეტო სტუდია, სხვადასხვა სპორტული წრეები, ხატვის წრე. **ინდიკატორი 4.2.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (ბრძ. N1/კ-140; 25.12.2025წ.);

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის საშემოდგომო გამოცდების დანიშვნისა და რემედიაციის პროგრამის შედეგების შესახებ“ (ბრძ. N2-199; 01.09.2025წ.);
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი (ბრძ. 1/კ-141; 25.12/2025წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. N2-296; 08.10.2025წ.);
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- კლუბების წესდება;
- კითხვარების შედეგები და ანალიზი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. აღნიშნულის ხელშეწყობას ცდილობენ სადამრიგებლო საათის მეშვეობით, სადაც დრო ეთმობა პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგ: განხილვა/საუბრები სხვადასხვა პროფესიების შესახებ, ვიზიტები პროფესიულ კოლეჯებში, სადაც მოსწავლეები ადგილზე ეცნობიან სხვადასხვა პროფესიებს. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან გასაუბრებითაც. პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა შესაძლებელია სხვადასხვა კლუბური აქტივობითა თუ პროექტით, რომელიც სკოლაში ხორციელდება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესებისა და უნარების განვითარებას, რაც თავისთავად ეხმარებათ გააზრებული პროფესიული არჩევანის გაკეთებაში.
სკოლამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა სსიპ-კოლეჯთან ,,მერმისი“ (08.11.2025წ.). მემორანდუმის მიზანია სკოლის მოსწავლეებისთვის პროფესიული მიმართულებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება, სხვადასხვა პროფესიაში საკუთარი ძალების მოსინჯვის შესაძლებლობით პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა და პროფესიული განათლების პოპულარიზაცია. **ინდიკატორი 4.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება. თუმცა ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ორგანიზებას უწევს სხვადასხვა პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. გარდა ამისა, მოსწავლეები თავადაც სტუმრობენ პროფესიულ კოლეჯებს. სკოლის მეილზე ხშირად შემოდის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება კარიერულ განვითარებასა და პროფესიულ ორიენტაციას და სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები). **ინდიკატორი 4.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და ცდილობენ მოსწავლეთა საჭიროებებს უზრუნველყოფას. სკოლას აქვს სკოლის საჭიროებისა და პრაქტიკის კვლევების გამოცდილება, რითაც სასწავლო პროცესის გაუმჯობესება მიმდინარეობს. **ინდიკატორი 4.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დამრიგებლის ანგარიშები;
- პროფესიული და უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი;
- კითხვარების შედეგები და ამთ ანალიზი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში შემუშავებულია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, რაც დეტალურად არის აღწერილი სასკოლო სასწავლო გეგმაში. იგი ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებს, მოქმედ კანონმდებლობასა და მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირებას, საჭიროებების შეფასებას, ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების განსაზღვრასა და შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვას. სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესი მოიცავს ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავებას, სპეციალისტების (სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგის) ჩართულობას, კლასის დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლების კოორდინირებულ მუშაობას. სასწავლო წლის დასაწყისში სპეციალური მასწავლებლები შეიმუშავებენ წლიურ სამუშაო გეგმებს, წერენ ინდ. გეგმის ზოგად ნაწილს მასწავლებლებთან და დამრიგებლებთან თანამშრომლობით. რესურსოთახი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა სსსმ მოსწავლეების პირადი საქმეები, ისგ. ჯგუფის ოქმები და სხვ. სკოლამ წარმოადგინა ასევე ბრძანებები სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (ბრძ. N2-263; 19.09.2025წ.). სასწავლო წლის ბოლოს სკოლა გეგმავს შიდა მონიტორინგის განხორციელებას კანონმდებლობის შესაბამისად.

მექანიზმი უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს, სწავლების მეთოდების, მასალებისა და შეფასების ფორმების ადაპტირებას მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აქტიურ კომუნიკაციას და მათ ჩართულობას მხარდაჭერის პროცესში. ასევე ხორციელდება სსსმ მოსწავლეთა პროგრესის რეგულარული მონიტორინგი, მიღწევებისა და სირთულეების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების კორექტირება. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში, თანაბარ ხელმისაწვდომობას საგანმანათლებლო რესურსებზე და ხელს უწყობს მათ აკადემიურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესი (ბრძ. N.2-217; 23.05.2018წ.), რომლის მიხედვით განისაზღვრება შიდა მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა - 39 სსსმ მოსწავლე. სკოლაში

ფუნქციონირებს რამდენიმე რესურსოთახი სპეციალური მასწავლებლების, ასისტენტებისა და ფსიქოლოგის ჩართულობით.
ინდიკატორი 4.2.3.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში სსსმ მოსწავლეთა წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ხორციელდება სასკოლო საზოგადოების წევრების - მასწავლებლების, სპეციალისტების, ადმინისტრაციის, მოსწავლეთა მშობლებისა და საჭიროების შემთხვევაში სხვა დაინტერესებული მხარეების - აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლის საჭიროებების მრავალმხრივ გააზრებას და მხარდაჭერის ღონისძიებების ეფექტიან დაგეგმვას.
თანამშრომლობის პროცესში ხდება ინფორმაციის გაზიარება, მოსწავლის წინსვლის მონიტორინგი და მიღწეული შედეგების შეფასება, რაც საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში დროულად მოხდეს მხარდაჭერის სტრატეგიების კორექტირება. სასკოლო საზოგადოების ერთობლივი მუშაობა ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, სოციალური და ემოციური განვითარების მხარდაჭერას და ქმნის ინკლუზიურ, მხარდამჭერ სასკოლო გარემოს.
ექსპერტებთან სსსმ მოსწავლის რამდენიმე მშობელმა გასაუბრებისას დაადასტურა, რომ ისგ ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ, მასწავლებლები ქმნიან მოსწავლეზე მორგებულ აქტივობებს, სკოლა უზრუნველყოფს საჭირო რესურსებს და კომუნიკაციას ყველა მხარესთან. მოსწავლეების სკოლაში ხდება დაუნის სინდრომის, აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღეების აღნიშვნა. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს რესურსოთახში, რომელიც აღჭურვილია საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით. სკოლას ჰყავს დიდი რაოდენობის სსსმ მოსწავლე (39) და მათ განათლებაზე ზრუნავს შესაბამისი პროფილის მქონე სპეციალისტთა გუნდი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების ხაზით მუშაობის დოკუმენტური მასალები: ისგ.ჯგუფის ოქმები, ინდივიდუალური გეგმები, მოსწავლეთა პროგრესის ანგარიშები, მოსწავლეთა ნამუშევრები და სხვ. **ინდიკატორი 4.2.3.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. N2-263; 19.09.2025წ.);

- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი N1; 28.09.2025წ.;
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) ჯგუფის შექმნის შესახებ“ (ბრძ. N2-258; 15.09.2025წ.);
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესი (ბრძ. N.2-217; 23.05.2018წ.);
- ინდ.გეგმები;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ფასიან გახანგრძლივებულ წრეს, რაც განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმითაც. სკოლას განსაზღვრული აქვს გახანგრძლივებული წრის გადასახადი და გათვალისწინებულია დედმამიშვილთან დაკავშირებით შეღავათები. სკოლას იჯარით გაცემული აქვს ფართი წრეებისთვის, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ასევე შენობის მეორე სართულზე ფართი ბუფეტისთვის. არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სკოლა ახორციელებს შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე. კერძოდ, სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარადგინა მაგ: სამინისტროს თანხმობა ბუფეტის იჯარით გაცემაზე (2025.24.12; MES 8 25 0001833803); სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა ფართის იჯარით გაცემაზე (16.01. 2026წ. KA021748808864626); სამეურვეო 2025 წლის 18 დეკემბრის საბჭოს სხდომის ოქმი N31; კვების ობიექტის იჯარის ხელშეკრულება (N1-26; 02.02.2026წ.); აუქციონის ამსახველი მასალა; აუდიტის დასკვნა. სკოლაში დირექტორის ბრძანების 2026 წლის 03 თებერვლის N2-37 ბრძანების საფუძველზე შექმნილია კვების მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც დაევალა სკოლაში კვების ობიექტის

საქმიანობის მონიტორინგი ყოველთვიურად. სკოლამ წარმოადგინა ბუფეტის მონიტორინგის აქტები. **ინდიკატორი 4.2.4.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო მომსახურებების მიღება სრულად ეფუძნება ნებაყოფლობითობის პრინციპს. აღნიშნული სერვისები შეთანხმებულია მართვის კოლეგიალურ ორგანოებთან, მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებსა და განვითარების ხელშეწყობაზე. გახანგრძლივებული ჯგუფი და სხვადასხვა კლუბი ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური, ფიზიკური, სოციალური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას და უზრუნველყოფს თავისუფალი დროის შინაარსიანად გამოყენებას. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები: „სტემ კლუბი“ (VII–XI კლასის ნებისმიერი მოსწავლისთვის, რომელსაც აქვს ინტერესი STEAM მიმართულებით.); სკოლის ლიტერატურული კლუბი (X-XI კლასების მოსწავლეებისთვის) - ,,ქართველი მწერლების კვალდაკვალ“; კლუბი ,,ღირებულებითი განათლება“ და სხვ. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სხვადასხვა ფაკულტატური წრეები: ქართული ხალხური ცეკვის წრე, საბალეტო სტუდია, სხვადასხვა სპორტული წრეები, ხატვის წრე. **ინდიკატორი 4.2.4.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ყველა აქტივობა იგეგმება და ხორციელდება მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რაც შეესაბამება როგორც სკოლის ღირებულებებს, ისე მოქმედ კანონმდებლობას. სკოლა მუდმივად აკონტროლებს დამატებითი მომსახურების პროცესს და საჭიროების შემთხვევაში იღებს პრევენციულ ზომებს შესაძლო რისკების თავიდან ასაცილებლად. სკოლაში ასევე მიმდინარეობს გახანგრძლივებული სწავლება უსაფრთხოების არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი 4.2.4.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,2025-2026 სასწავლო წელს სსიპ N165 საჯარო სკოლაში მოსწავლეთათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით გახანგრძლივებული წრის შექმნის შესახებ“ (ბრძ. N2-261; 18.09.2025წ.);
- წრის მასწავლებლის ხელშეკრულება;
- წრის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- იჯარის დოკუმენტაცია;
- სამინისტროს თანხმობა ბუფეტის იჯარით გაცემაზე (2025.24.12; MES 8 25 0001833803);
- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა იჯარით გაცემაზე (16.01. 2026წ. KA021748808864626);
- სამეურვეო 2025 წლის 18 დეკემბრის საბჭოს სხდომის ოქმი N31;
- აუქციონის ამსახველი მასალა;
- აუდიტის დასკვნა.
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძნება სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლაში კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ (ბრძ. N2-37; 03.02.2026წ.)
- მშობელთან ხელშეკრულების ნიმუში;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კლუბების დებულებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N1/კ-127; 12.12.2025წ.). აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია როგორ იგეგმება, ხორციელდება და ვითარდება სასწავლო პროცესი. მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, ვინ რა როლს ასრულებს აღნიშნულ პროცესში და როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება. კურიკულუმზე მუშაობაში ჩართულია როგორც პედაგოგიური პერსონალი და მენეჯმენტი, ისე მოსწავლეები და მათი მშობლები. საგნობრივი მიმართულებების დონეზე კურიკულუმს ამზადებენ მასწავლებლები, თუმცა ისინი ეყრდნობიან როგორც სკოლის საერთო ხედვას, ასევე სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებსა და მოლოდინებს.

მნიშვნელოვანია, რომ გამოყენებულია სხვადასხვა ინსტრუმენტი (გამოკითხვა, უკუკავშირი, ფოკუსჯგუფები), რაც უზრუნველყოფს რეალური საჭიროებების გამოვლენას. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის შინაარსის გაუმჯობესება, რაც მიუთითებს პროცესის სისტემურ და ჩართულობაზე დაფუძნებულ ხასიათზე. **ინდიკატორი 2.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის დაგეგმვის მიდგომა საშუალებას იძლევა სასწავლო შინაარსი მაქსიმალურად იყოს მორგებული სკოლის საჭიროებებსა და ინტერესებზე. კურიკულუმი ეფუძნება იმ ღირებულებებსა და პრიორიტეტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოებისთვის. ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლას წინასწარ აქვს განსაზღვრული, როგორ უნდა მოხდეს იმ ჯგუფების ინტერესების ინტეგრირება, რომლებიც მომავალში ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში. სსსმ მოსწავლეებისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის შედგენაში მონაწილეობას იღებს სპეციალური და საგნის

მასწავლებელი და მშობელი. წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმებითა და მასწავლებელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნაში მუშაობენ გუნდურად, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და რეკომენდაციებს. ეს მიუთითებს წინასწარ დაგეგმილ და სტრუქტურირებულ მიდგომაზე. **ინდიკატორი 2.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შექმნის პროცესი ორგანიზებულია გუნდური მუშაობის პრინციპით. მასწავლებლები ამზადებენ საგნობრივ პროგრამებს, რომლებიც შემდგომ განიხილება კათედრების დონეზე და თანხმდება საერთო მიდგომებზე. სკოლის მენეჯმენტი უზრუნველყოფს პროცესის კოორდინაციას და საერთო ხედვასთან შესაბამისობას, ხოლო სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ვლინდება როგორც სკოლის ფილოსოფიის ფორმირების, ისე უკუკავშირის მექანიზმების გამოყენების გზით.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას უკვე აქვს გამოცდილება და სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება პროცესის შეჯამება და გამოკვეთილი არსებული საჭიროებების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით ახალი საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება.

ამგვარად, კურიკულუმი არ არის მხოლოდ ინდივიდუალური დოკუმენტი — იგი წარმოადგენს ერთობლივი მუშაობის შედეგს, რომელიც ეფუძნება სკოლის საერთო მიზნებსა და ღირებულებებს. **ინდიკატორი 2.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის გაცნობა და გავრცელება ხორციელდება ეტაპობრივად. ამ ეტაპზე იგი ხელმისაწვდომია პედაგოგიური პერსონალისთვის და განხილულია შესაბამის პროფესიულ ჯგუფებში. სამომავლოდ დაგეგმილია მისი წარდგენა მოსწავლეებისა და მშობლებისთვის სხვადასხვა ფორმით — როგორც უშუალო შეხვედრების, ისე ინფორმაციული რესურსების საშუალებით. ასევე გათვალისწინებულია უკუკავშირის მიღების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს, რომ სასკოლო საზოგადოება არამხოლოდ გაეცნოს კურიკულუმს, არამედ აქტიურად ჩაერთოს მის შეფასებასა და გაუმჯობესებაში. ეს მიდგომა ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობასა და ჩართულობას. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრის თავმჯდომარეები, მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო კურიკულუმისა შემუშავებისა და დახვეწის პროცესში. კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის და როგორც სასკოლოსასწავლო გეგმის ნაწილი მისი შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. **ინდიკატორი 2.1.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N1/კ-127; 12.12.2025წ.);
- ყველა საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმები კურიკულუმების შემუშავებაზე;
- 2025 წლის 08 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N23;
- 2025 წლის 08 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N19;
- მე-4 კლასების მშობელთა კრების ოქმები მეორე უცხო ენის არჩევასთან დაკავშირებით;
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1; 16 მაისი 2025 წ.;
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2; 02 ივნისი 2025 წ. (სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავება იყო მიზანი და დამტკიცდა პროექტის სახით);
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (ბრძ. 2-78; 14.05.2025წ);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ისგ ჯგუფის ოქმები;
- ინდ.გეგმები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები, სამივე საფეხურზე ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, რაც დასტურდება სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტაციით. კურიკულუმში გაწერილი საკითხების დამუშავება ხდება კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებებით და პროექტებით, სადაც იკვეთება ცოდნის აგებაზე ორიენტირებული აქტივობების შეთავაზება და მრავალფეროვნი ელექტრონული რესურსის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელ აზროვნებასა და ცოდნის კონსტრუირებას. კათედრამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, კათედრის ოქმი, რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებული სწავლების გამოცდილება, რაც საბოლოოდ ადასტურებს, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **სკოლას მიეცა რჩევა:** 1.სასურველია, III და IV კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის გადახედვა და თემის გრაფაში მხოლოდ სტანდარტით გათვალისწინებული თემების დატოვება. ასევე IV კლასში მოხდეს საკითხთა კლასტერისა და კონტექსტ მაგალითის გრაფების გადაჯგუფება, ხოლო III კლასში თემის გრაფაში ჩაწერილი საკითხების გადატანა. კორექტირებისას გამოიყენონ V და VI კლასის კურიკულუმის შექმნის შედეგად მიღებული გამოცდილება. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმები წაროადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. წარმოდგენილი კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებები მოიცავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები აშკარად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ენობრივი

	შესაძლებლობები, ხოლო შერჩეული თემები მიზნად ისახავს ენობრივი უნარების განვითარებას. კურიკულუმში ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს ცოდნის ყველა კატეგორიის გააქტიურებას და უზრუნველყოფს შინაარსის სიღრმისეულ გააზრებასა და ყოველდღიურ ცხოვრებასთან კავშირს. მასწავლებლებს გააჩნიათ გააზრებული მიდგომა სწავლა-სწავლების პროცესისადმი და მყარი მზადყოფნა, შექმნან მიზნობრივი და მასტიმულირებელი სასწავლო გარემო. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. წარმოდგენილი კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებები, მოიცავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. დავალებებზე მუშაობა ითვალისწინებს მოსწავლის მიერ ცოდნის აგების თანმიმდევრულ პროცესს - წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის საფუძველზე ახალი ცოდნის მიღებას. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში შემოქმედებით პროდუქტებზე მუშაობა იგეგმება, რაც მოსწავლეთა პიროვნული ძალების განვითარებას შეუწყობს ხელს. დავალებებზე მუშაობა ითვალისწინებს მოსწავლის მიერ ცოდნის აგების თანმიმდევრულ პროცესს - წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის საფუძველზე ახალი ცოდნის მიღებას. დავალებები მრავალფეროვანი და საინტერესოა, რამაც მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობა უნდა აღძრას და მათი ემოციური კმაყოფილება განაპირობოს. კურიკულუმებში ასახული დავალებების შესასრულებლად მოსწავლეებს ძალისხმევის გაღება და თავიანთი გამოცდილების გამოყენება მოუწევთ. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. წარმოდგენილია კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, რომლებიც მიემართება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. კურიკულუმში მოცემული მრავალფეროვანი აქტივობები და სასაწავლო რესურსები, ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

სპორტი	სამივე საფეხურის შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; შემუშავებული კურიკულუმე/ბი, მასწავლებლის მიერ შედგენილი თვითშეფასების რესურსი სკოლაზე მორგებულია. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმები II-VI კლასში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები; სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზანზე გასვლისათვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია, III და IV კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის გადახედვა და თემის გრაფაში მხოლოდ სტანდარტით გათვალისწინებული თემების დატოვება. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციით საგნობრივი კურიკულუმები ზოგადად ემსახურება ე.ს.გ-ში განსაზღვრულ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, თემის ფარგლებში სამივე საფეხურზე მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. რიგ შემთხვევებში ხდება შუალედური მიზნების კომპლექსური ტიპის დავალებებით დამუშავება. კურიკულუმის ჩარჩოთი დგინდება, რომ პედაგოგები სხვადასხვა საკითხების სწავლებისას იყენებენ დამატებით სასწავლო ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. შეინიშნება თემის, საკითხის კონტექსტსა და სასწავლო რესურსებს შორის კორელაცია, რაც ხელს უწყობს ცოდნისა და ღირებულებების თანმიმდევრულ განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	არსებული დოკუმენტაციით საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება ე.ს.გ-ში განსაზღვრულ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, თემის ფარგლებში სამივე საფეხურზე მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. შუალედური მიზანი ხორციელდება კომპლექსური დავალების საფუძველზე. ჩანს, რომ პედაგოგები გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა იყენებენ დამატებით ინტერნეტ რესურსებს. ყველა საფეხურზე მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებსა და სწავლა-სწავლების პრინციპებს. უცხოური ენების სასწავლო კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან შედეგებზე და ეყრდნობა მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. პრიორიტეტი ენიჭება შემოქმედებით დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობს უნარების, ცოდნისა და ღირებულებების ინტეგრირებულ განვითარებას. დოკუმენტებში აღწერილი შუალედური და გრძელვადიანი მიზნები უზრუნველყოფს ისეთი სწავლების დაგეგმვას, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და განაპირობებს ფუნქციური უნარების გააქტიურებას. **სკოლა მიეცა რჩევა:** **<u>გერმანული ენის საშუალო საფეხურის კურიკულუმში მოცემული ზოგიერთი დავალება სტანდარტთან მიმართებით მარტივია. სასურველია, მათი სირთულის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა.</u>**

	ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ე.ს.გ-ში განსაზღვრულ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, თემის ფარგლებში სამივე საფეხურზე მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ხდება შუალედური მიზნების კომპლექსური ტიპის, შემოქმედებითი დავალებებით დამუშავება. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	საგნობრივ კურიკულუმებში საფეხურების მიხედვით გამოკვეთილია შესაბამისი სამიზნე ცნებები, მისაღწევი შედეგები. დავალებები მიზნის შესაბამისადაა დაგეგმილი. იგეგმება შემოქმედებით დავალებებზე მუშაობა, რამაც მოსწავლეთა მთლიან პიროვნულ განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი - განავითაროს მათი ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ე.ს.გ-ში განსაზღვრულ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, თემის ფარგლებში სამივე საფეხურზე მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ხდება შუალედური მიზნების კომპლექსური ტიპის დავალებებით დამუშავება. კურიკულუმის ჩარჩოთი დგინდება, რომ პედაგოგები სხვადასხვა საკითხების სწავლებისას იყენებენ დამატებით სასწავლო ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	სამივე საფეხური, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული მატერიალური და ელექტრონული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. ელ რესურსი https://school.emis.ge/ კურიკულუმებში. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე

დაწყებითი საფეხური	და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანეთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები, პროექტები, სხვადასხვა აქტივობები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები, როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე ელექტრონული და მატერიალური სახით, მრავალფეროვანია და შეესაბამება გაწერილ აქტივობებს. მრავალფეროვანი ვიდეო მასალა ხელს შეუწყობს სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და საგნობრივი მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, კათედრა ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოსა და მასთან დაკავშირებულ კომპონენტებს (სამუშაო რვეული, აუდიომასალა, პოსტერები, ქარდები), რაც უზრუნველყოფს საგნობრივი მიზნების მიღწევას. დამატებით წარმოდგენილია დამხმარე ელექტრონული რესურსები, რომლებიც შერჩეულია მიზნობრივად და უწყობს ხელს ეფექტურად სასწავლო შედეგების მიღწევას. **სკოლას მიეცა რჩევა:** 1. <u>სასურველია, გერმანული ენასთან დაკავშირებით საშუალო საფეხურზე სასწავლო რესურსის უკეთ ჩანდეს და მოხდეს მისი სისტემური გამრავალფეროვნება.</u> 2. <u>სასურველი კურიკულუმში შემოქმედებითი პროდუქტი იყოს უკეთ აღწერილი.</u>

	ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	*სკოლა/კათედრა* ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოსა და მასთან დაკავშირებულ კომპონენტებს (სამუშაო რვეული, ელექტრონული რესურსები) ***სკოლას სამივე საფეხურზე მიეცა რჩევა*** • საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, სკოლაში მრავალფეროვანი რესურსების სისტემური შემოტანა; • სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე; • სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე; • სასურველია, სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა; • სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები; • მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის; • მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მიზნის შესაბამისადაა შერჩეული, რაც დაგეგმილის მიღწევას განაპირობებს. მრავალფეროვანი აუდიო-ვიდეომასალა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დაინტერესებასა და ინფორმაციის უკეთ აღქმას. **სკოლას მიეცა რჩევა** (სამივე საფეხურისთვის): სასურველია, ის სააზროვნო სქემები, გრაფიკული მაორგანიზებლები, რომლებსაც სწავლის პროცესში იყენებენ (რაც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა), საგნობრივ კურიკულუმებშიც აისახოს. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	სამივე საფეხურის შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობები. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, პლაკატები, მოდელები და სხვა, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრაქტიკას კომპლექსური დავალების აქტივობები და პროექტები ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართულობას. კათედრის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები სრულყოფილად მოიცავს გრძელვადიანი და შუალედური მიზნებს ადაპტირებულ ვარიანტს.

	შესაბამისი აქტივობებითა და რესურსებით. გაწერილია მკაფიო ინსტრუქციები და წარმოდგენილია მოსწავლის სემესტრული შეფასება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ინკლუზიურობას, მიზანმიმართულ დაგეგმვასა და შეფასებას. **სკოლას მიეცა რჩევა:** საბაზო საფეხურზე სამივე საგანში (ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია) სასურველია დიფერენცირებული მიდგომების შემდგომი გაძლიერება სხვადასხვა მიმართულებით -დავალებები, აქტივობა ან მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროდუქტი - სასწავლო პროცესში ინკლუზიურობის გაზრდის მიზნით. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრაქტიკას. დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	კურიკულუმებში წარმოდგენილი გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, თემები და კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს დიფერენცირებულ და პოზიტიურ სასწავლო გარემოზე ორიენტირებულ პროცესს. დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ინტერვიუმ ცხადყო, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული და დიფერენცირებული სწავლების პრინციპები და აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლის უნიკალურ საგანმანათლებლო პროფილს, მათ შორის წინარე ცოდნას, სტილსა და მოტივაციას. ინტერვიუების მიხედვით, კათედრის წევრები სრულად იცნობენ კომპლექსური დავალებების მნიშვნელობას, მოსწავლის ავტონომიისა და თვითრეგულაციის განვითარების პროცესში და მზად არიან განახორციელონ თემატური მატრიცების ადაპტაცია საჭიროების შესაბამისად. მთლიანობაში, მასწავლებლებს გააჩნიათ კომპეტენცია და მზაობა, დაგეგმონ დიფერენცირებული სასწავლო აქტივობები, რომლებიც ეფუძნება ინდივიდუალური განსხვავებების ანალიზს და მიზნად ისახავს სწავლაში ხელშემწყობი გარემოს შექმნას. **სკოლას მიეცა რჩევა (სამივე საფეხურზე):** სასურველია, მკაფიოდ იყოს გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტის პირობა და აქტივოებები

	დიფერენცირებული სწავლებისთვის. მოხდეს დიფერენცირებული სწავლების პროცესის ხშირი ანალიზი და მასზე დაფუძნებით მეტი მრავალფეროვანი რესურსის შექმნა. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მიზნის შესაბამისადაა შერჩეული, რაც დაგეგმილის მიღწევას განაპირობებს. მრავალფეროვანი აქტივობები, ხელს უწყობს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. **სკოლას მიეცა რჩევა (სამივე საფეხურისთვის)** • სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე; • სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე; • სასურველია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა; • სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები; • მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში — ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის; • მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	როგორც ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები მოსწავლეთა საჭიროებებს ეფუძნება. ასევე აღნიშნეს, რომ სხვადასხვა მზაობის მოსწავლეთათვის განსხვავებული რესურსი და აქტივობა აქვთ გათვალისწინებული. საგნობრივ კურიკულუმებში ასახულ თითოეულ დავალებაზე მუშაობა მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებასა და მის საფუძველზე ახალი ცოდნის აგებას გულისხმობს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, თემები და კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს დიფერენცირებულ სასწავლო გარემოს. დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	სამივე საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	მოსწავლეებს სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს, რომელიც ზრდის ცოდნას, დამოკიდებულებას მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ხდება კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება მათი შესაძლებლობის ფარგლებში. აქვთ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილებაც, შესაბამისად სპეცმასწავლებელთან ერთად, საგნის მასწავლებელთან თანამშრომლობით ადგენენ ისგ-ს, შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში სწავლა სწავლების პროცესში დასახული მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ სამივე საფეხურისათვის წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მათ შორის თემისა და კომპლექსური დავალების საკითხთან მიმართებაში წარმოდგენილი შეფასება, რომელიც შესაბამისობაში მოდის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან. შეფასების პროცესში წარმოდგენილი რუბრიკების გამოყენება, ასევე დაგეგმილი დიაგნოსტიკური წერებისა და წლიური შეფასების პროცედურების წინასწარი განსაზღვრა და აღნიშნულ საკითხზე კათედრის წევრების შეთანხმება ოქმი N3 იძლევა მოსწავლეთა პროგრესის სისტემური მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობას. აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ სკოლა მუშაობს/აქვს მზაობა სწავლებისას ეფექტურად გამოიყენოს შეფასების სისტემა. **სკოლას მიეცა რჩევა:** სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას (დაწყებითი საფეხური-ბუნებისმეტყველება, საბაზო და საშუალო საფეხური-ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია) მოსწავლის განვითარებისა და წინსვლის ხელშესაწყობად სასურველია გამოყენებულ იქნას მოსწავლეების ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლამ სამივე საფეხურისათვის წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. კარგი იქნებოდა, რომ განმსაზღვრელ შეფასებაში საბაზო და საშუალო საფეხურზე კრიტერიუმები უკეთ ჩაეშალათ. მეტი სიზუსტით აღიწეროს შეფასების კრიტერიუმები - გამოიკვეთოს მისაღწევი შედეგები და დავალების პირობასთან მიმართება. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და მოიცავს როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებების რუბრიკებს. ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს და ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესის მუდმივ მონიტორინგს, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და სწავლის პროცესზე მორგებულ უკუკავშირს. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით**

	დადგენილ მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და მოიცავს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებების რუბრიკებს. ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. შემაჯამებელი დავალებები უმეტესად არის შემოქმედებითი, რაც ორივე საგნის სწავლებისას ხელს უწყობს, როგორც ცნებების და საკითხების უკეთ, გააზრებულად შექმნას ასევე ამ საგნების ერთ-ერთი ძირითადი მიზნის შემოქმედებისა და პრაქტიკის ერთობლივ დაუფლებას. ამგვარი დავალებების შეფასება მეტად გამჭვირვალე და ვალიდურია. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლას სამივე საფეხურისთვის წარმოდგენილი აქვს როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების სქემები. შეფასება გააზრებულია, როგორც ცოდნის დონის განსაზღვრისა და სწავლის პროცესის ხელშემწყობი საშუალება. შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებსა და მისაღწევ შედეგებს მიემართება. **სკოლას მიეცა რჩევა (სამივე საფეხურისთვის):** მიზანშეწონილია, შეფასების რუბრიკებში მეტი სიზუსტით აღიწეროს შეფასების კრიტერიუმები - გამოიკვეთოს მისაღწევი შედეგები და დავალების პირობასთან მიმართება. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოყენებულია საგნის სტანდარტზე დაფუძნებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ, სტრუქტურირებულ და მკაფიო შეფასებას. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	სამივე საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება მოძრაობაში. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე

	დაფუძნებით. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	გადმოგზავნილ მასალებში გამოყენებულია საგნის სტანდარტზე დაფუძნებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ, სტრუქტურირებულ და მკაფიო შეფასებას. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლებიც ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერილია მოსწავლეთა განვითარების დინამიკა. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N1/კ-127; 12.12.2025წ.);
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის ოქმები;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;
- შეფასების რუბრიკები;

- მოსწავლის შეფასების ამსახველი დოკუმენტები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები)
- სსიპ ქალაქ თბილისის საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი (ბრძ. N2-404; 12.12.2025წ.);
- ინდივიდუალური სასწავლი გეგმები;
- პროექტის აღწერა, განხორციელების გეგმა, მასალები;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოწოდებული დოკუმენტაციის (საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები, შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტიკური წერების ნიმუში, კათედრის სამოქმედო გეგმა, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა, სასკოლო სასწავლო გეგმა) ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო საგნების საათობრივი დატვირთვა სამივე საფეხურზე, მათ შორის საბაზო და საშუალო საფეხურზე სამივე საგანში (ფიზიკა, ქიმია ბიოლოგია) და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას. წარმოდგენილი სასწავლო თემები და საკითხები დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობაშია. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში წარმოდგენილია აგრეთვე შესაბამის საკითხთან დაკავშირებული საკმაოდ მრავალფეროვანი საგანამანათლებლო ელექტრონული რესურსი. აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლაში არის მოქმედი სისტემატიური პროცედურები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლებთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საათობრივი დატვირთვა სამივე საფეხურზე, მათ შორის საბაზო და საშუალო საფეხურზე სამივე საგანში (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემებისა თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას. წარმოდგენილი სასწავლო თემები და საკითხები დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	მასწავლებლებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით და დოკუმეტების შესწავლით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი დინამიურად მოდიფიცირდება მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის მიზნობრივ ადაპტაციას და კურიკულუმის პერიოდულ განახლებას. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემებისა თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას. წარმოდგენილი სასწავლო თემები და საკითხები დაგეგმილ

	აქტივობებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლა სასწავლო პროცესს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად წარმართავს, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესს აკვირდება და აფასებს. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კათედრის მიერ მოწოდებული მასალის (სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმი, შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტიკური წერების ნიმუში, კათედრის სამოქმედო გეგმა, მათემატიკური კლუბის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია, სასკოლო სასწავლო გეგმა) ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო საგნების საათობრივი დატვირთვა სამივე საფეხურზე და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას. წარმოდგენილი სასწავლო თემები და საკითხები დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობაშია. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში წარმოდგენილია აგრეთვე შესაბამის საკითხთან დაკავშირებული ელექტრონული რესურსი. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სამივე საფეხურის სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი სასწავლო თემები და საკითხები დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობაშია კურიკულუმთან. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში წარმოდგენილია აგრეთვე შესაბამის საკითხთან დაკავშირებული ელექტრონული რესურსი. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების	სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ

დაწყებითი საფეხური	სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. ეს კარგად ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დაადასტურეს კათედრის წევრებმა საუბრისას. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ადაპტირებას წარმოშობილი საჭიროებების შესაბამისად და ოპერატიულად რეაგირებს როგორც მოსწავლეთა, ისე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების მოთხოვნებზე. აღნიშნული ვლინდება როგორც სწავლების მიდგომების ცვლილებაში, ასევე დამატებითი რესურსების, აქტივობებისა და მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვაში.

სკოლა იყენებს უკუკავშირის სხვადასხვა ფორმას (მოსწავლეთა შეფასებები, მშობელთა მოსაზრებები, პედაგოგთა რეფლექსია), რომლის საფუძველზეც ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება სასწავლო სტრატეგიები, დროითი განაწილება ან სასწავლო მასალები. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესი იყოს დინამიური, მოსწავლეზე ორიენტირებული და შესაბამისობაში მოდიოდეს მუდმივად ცვალებად საგანმანათლებლო მოთხოვნებთან

სკოლაში მოქმედი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბერი N23 სხდომის ოქმით) განსაზღვრავს ისეთ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის საჭიროებებზე დროულ და ეფექტიან რეაგირებას. დოკუმენტი მოიცავს როგორც პრევენციულ, ასევე რეაგირებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს სამუშაო პროცესის სტაბილურობასა და ხარისხის შენარჩუნებას.

პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გაწერილია ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მოვალეობების გადანაწილება თანამშრომლებს შორის. ეს მიდგომა ამცირებს პროცესების შეფერხების რისკს და უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციული საქმიანობის უწყვეტობას. იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომლის

ხანგრძლივი არყოფნისას შიდა რესურსით ჩანაცვლება ვერ ხერხდება, სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის ჩართვას, რაც დამატებით ადასტურებს ორგანიზაციის მოქნილობასა და ოპერატიულობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის ცალკე მექანიზმი, რაც მიუთითებს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მიდგომაზე. როგორც მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს სკოლა სთავზობს დამატებით მხარდაჭერას, კონკრეტულად თუ რაიმე სირთულე აქვს რომელიმე საგანში მუშაობს რემედიაციის პროგრამა, დამატებითი მეცადინეობები და ინდივიდულური აქტივობები, რაც ასევე მოსწავლეებთან გასაუბრების პროცესშიც გამოიკვეთა. ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ იქნა მაგ: სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის საშემოდგომო გამოცდების დანიშვნისა და რემედიაციის პროგრამის შედეგების შესახებ“ (ბრძ. N2-199; 01.09.2025წ.). მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური პრობლემების გადასაჭრელად სკოლა სთვაზობს ფსიქოლოგის მომსახურებას. სკოლაში არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ სკოლა არა მხოლოდ ზოგად, არამედ სპეციფიკურ საგანმანათლებლო გამოწვევებზეც ეფექტიანად რეაგირებს. **ინდიკატორი 2.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს, რაც დასტურდება ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკებით, აგრეთვე დიაგნოსტიკური და წლიური შეფასების პროცედურების წინასწარ განსაზღვრით. **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია შეფასების ინსტრუმენტების გამრავალფეროვნება და მათი კომპლექსურ დავალებებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პრაქტიკის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის ობექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის შემდგომ გაძლიერებას. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

	სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, შეფასების ინსტრუმეტების დახვეწვა საბაზო და საშუალო საფეხურზე. მეტი სიცხადის შეტანა მოხდეს. მათი კომპლექსურ დავალებებთან შესაბამისობაში მოყვანა. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებ**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოყენებულია საგნის სტანდარტზე დაფუძნებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ, სტრუქტურირებულ და მკაფიო შეფასებას. ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შეფასების მნიშვნელობა როგორც სწავლის მხარდაჭერის ინსტრუმენტი და იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს, მათ შორის ურთიერთშეფასებას და თვითშეფასებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის რეფლექსიასა და პროგრესის მონიტორინგს. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს, რაც დასტურდება ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკებით, აგრეთვე დიაგნოსტიკური და წლიური შეფასების პროცედურების წინასწარ განსაზღვრით. **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია, საბაზო საფეხურზე მეტი შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვა, სადაც პრაქტიკული ნაწილი არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს თეორიულ ცოდნასთან მიმართებაში. სასურველია, შესრულებული დავალებების და შემოქმედებითი პროდუქტების საჯაროს პრეზენტაცია/გამოფენა სასკოლო სივრცეში. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	შეფასებისთვის მონაცემები სხვადასხვა მიდგომითა და მრავალფეროვანი წყაროს გამოყენებით გროვდება, რაც შეფასების სიტემის სანდოობას განსაზღვრავს. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოყენებულია საგნის სტანდარტზე დაფუძნებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ მკაფიო შეფასებას. **ინდიკატორი 2.2.2.3.**

	აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
სპორტი	სამივე საფეხურის კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	სკოლამ წარადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; პედაგოგი იყენებს შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტური შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი (ბრძ. N2-404; 12.12.2025წ.), რომელიც არეგულირებს შეფასების პროცესის სანდოობასა და ხარისხის კონტროლს. დოკუმენტი განსაზღვრავს შეფასების გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და

ვალიდურობის უზრუნველყოფის მექანიზმებს, ასევე მოსწავლეთა პროგრესის სისტემურ მონიტორინგს და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლებს.

სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, შეფასება მოიცავს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ კომპონენტებს, მათ შორის მიმდინარე აქტივობებს, შუალედურ და საბოლოო შეფასებებს. აღნიშნული კომპონენტებიდან ვერიფიკაციას ექვემდებარება განსაკუთრებით შუალედური და ფინალური შეფასებები, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი შეფასების ფორმის გადამოწმება. ვერიფიკაციის პროცესი შეიძლება ინიცირდეს როგორც სკოლის მენეჯმენტის მიერ, ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე, რაც დამატებით ზრდის პროცესის გამჭვირვალობას. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის ეტაპები, რაც მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის ანალიზს, მტკიცებულებების არსებობისა და სანდოობის დადგენას, შეფასების გარემოსა და პროცესის პირობების შეფასებას, ასევე ობიექტურობის გადამოწმებას.

სკოლას უკვე აქვს აღნიშნული მექანიზმის გამოყენების პრაქტიკული გამოცდილება, რაც ადასტურებს პროცესის განხორციელების შესაძლებლობას და ეფექტიანობას. აღნიშნული მიდგომა ქმნის საფუძველს, რომ შეფასების სისტემა იყოს სანდო, თანმიმდევრული და განვითარებაზე ორიენტირებული. **ინდიკატორი 2.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა სათანადო შეფასებასა და აღრიცხვას ელექტრონულ ჟურნალში, რომლის მონიტორინგი პერიოდულად ხორციელდება. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ვიზიტის პერიოდში სკოლის უკვე განსაზღვრული ჰქონდა მტკიცებულებების შენახვისთვის საჭირო სივრცე, რომელიც დაცულია გარეშე პირისგან. წინა წლების დოკუმენტაცია, კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები, კლასების და საგნების მიხედვით ფორმები შენახული და დაცულია სკოლის არქივში. სკოლა იღებს ვალდებულებას, რომ შეფასების მტკიცებულება დაცული იყოს როგორც პერსონალური მონაცემები. **ინდიკატორი 2.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბერი N23 სხდომის ოქმით);
- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის საშემოდგომო გამოცდების დანიშვნისა და რემედიაციის პროგრამის შედეგების შესახებ“ (ბრძ. N2-199; 01.09.2025წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი (ბრძ. N2-404; 12.12.2025წ.);
- დიაგნოსტიკური წერის შედეგები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებლის პორტფოლიო;
- კათედრის სხდომის ოქმები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის წარმოდგენლი დოკუმენტაციით კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ელექტრონული რესურსებით, ასევე გადმოგზავნილი ფოტომასალითაც იკვეთება, რომ სკოლა აქტიურად იყენებს სასწავლო საგანმანათლებლო რესურსს, რაც იძლევა იმის საშუალებას ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია კათედრამ თავისი საქმიანობით წარმატებით მიაღწიოს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	არსებულ კურიკულუმზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ მრავალფეროვანი რესურსები აქვთ წარმოდგენილი, რომლებიც შესაბამისობაში მოდის არსებულ თემებსა და საკითხებთან. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

უცხოური ენები	კურიკულუმები აჩვენებს, რომ სწავლება ეფუძნება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და მათ თანდართულ მასალებს (რვეულები, აუდიო ჩანაწერები, პოსტერები, ქარდები), რაც უზრუნველყოფს საგნობრივი მიზნების მიღწევას. გამოყენებულია ეფექტურად შერჩეული დამხმარე ელექტრონული რესურსებიც, რომლებიც სრულად უწყობს ხელს სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმები აჩვენებს, რომ სწავლება ეფუძნება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. **სკოლას მიეცა რჩევა (სამივე საფეხურზე)** • სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად იზრუნოს დამხმარე რესურსების განვითარებაზე; • სასურველია, შეიქმნას სახელოსნოს ტიპის სივრცე ხელოვნების გაკვეთილებისთვის, სადაც მოსწავლეებს თავისუფლად ექნებათ წვდომა საღებავებსა და სხვა მასალებზე; • სასურველია სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა, რომელთა მოსინჯვის ან დაკვრის საშუალება ექნებათ მოსწავლეებს. ამისთვის მიზანშეწონილია მცირე, განცალკევებული სივრცის გამოყოფა; • სასურველია, მოსწავლეები რეგულარულად იმყოფებოდნენ საგამოფენო სივრცეებში, თეატრებში, კონცერტებსა და მუზეუმებში. კარგი პრაქტიკაა, თუ სკოლას ექნება შესაძლებლობა დააფინანსოს მათგან ზოგიერთის ბილეთები; • მნიშვნელოვანია აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში — ბუნებაში და ღია ცის ქვეშ — რაც განსაკუთრებით ეფექტურია როგორც სახვითი, ისე მუსიკის საგნების სწავლებისთვის; • მიზანშეწონილია, სკოლამ რეგულარულად შეიძინოს რეპროდუქციების ალბომები და სხვა ვიზუალური მასალები, რათა მოსწავლეებმა ხარისხიანი სურათები გამოიყენონ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, მითითებულია მათი წყაროები - გვერდები თუ ბმულები. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ნათლად ჩანს, რომ სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე ელექტრონული და მატერიალური რესურსებიც. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით**

	დადგენილ მოთხოვნებს
სპორტი	სამივე საფეხურის სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ახალი კურიკულუმის შექმნამდე კათედრამ შეაფასოს წინა წლის შედეგები და მათი გათვალისწინებით შექმნან ახალი კურიკულუმი. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, იკრიბებიან ყოველი სემესტრის ბოლოს და განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში ამ შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, ელექტრონილი ცხრილების "საუკეთესო მანქანა", რომლის დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ციფრული პროდუქტები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასებში წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კერძოდ კათედრის ოქმში N3, იკვეთება დამატებითი სასწავლო რესურსის მნიშვნელობის განხილვა, ასევე წარმოდგენილია იმ რესურსების ჩამონათვალი, რომელთა შეთავაზებასაც სკოლა გეგმავს სამივე საფეხურზე. ამავე

	ოქმში იკითხება განსაზღვრული დამხმარე რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის კრიტერიუმები. საგნობრივ კურიკულუმებში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილია კლასებისა და თემების მიხედვით საგანმანათლებლო დამხმარე რესურსები, რაც მიუთითებს, რომ სკოლა სისტემატიურად იყენებს/აქვს მზაობა გამოიყენოს, აღნიშნულ რესურსები, საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული თემების, საკითხებისა და სამიზნე ცნებების სწავლების პროცესში, მათ შორის კომპლექსური დავალების განხორციელებისას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა ჩართულობას რესურსების შერჩევასა და შეფასებაში, რესურსების პრაქტიკულ ტესტირებას სასწავლო პროცესში, რეგულარულ მონიტორინგსა და განახლებას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	სკოლა აქტიურად ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა ჩართულობას რესურსების შერჩევასა და შეფასებაში, რესურსების პრაქტიკულ ტესტირებას სასწავლო პროცესში, რეგულარულ მონიტორინგსა და განახლებას. ასევე, სკოლა იყენებს მოსწავლეთა და მშობლების უკუკავშირს რესურსების ეფექტურობის შესაფასებლად, რაც უზრუნველყოფს რესურსების შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან და ეფექტურ მხარდაჭერას სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	როგორც ინტერვიუს დროს დადგინდა, სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა ჩართულობას რესურსების შერჩევასა და შეფასებაში, ასევე, სკოლა იყენებს მოსწავლეთა და მშობლების უკუკავშირს რესურსების ეფექტურობის შესაფასებლად. აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კათედრა განიხილავს დამხმარე სასწავლო რესურსის ხარისხს, სანდოობას, მისი გამოყენების საჭიროებასა და მიზნობრიობას და ასე ნერგავს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

მათემატიკა	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა ჩართულობას რესურსების შერჩევასა და შეფასებაში, რესურსების პრაქტიკულ ტესტირებას სასწავლო პროცესში, რეგულარულ მონიტორინგსა და განახლებას. კათედრაზე რესურსების მოსწავლეებთან ერთად დამზადების პრაქტიკაც აქვთ, შემდეგ უფროსკლასელები თავად იყენებენ მათ მიერ შექმნილ რესურსებს დაწყებითი საფეხურის კლასებში. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	სამივე საფეხურზე კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტო-მასალა ადასტურებს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი ორი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. გასაუბრებისას პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ სკოლა გეგმავს მატერიალური რესურსის შემდგომ გამრავალფეროვნებას, ქიმიური რეაქტივების შეძენას და ინვენტარის განახლებას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ ფოტო-მასალაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვეტარით. რომელიც ხელს უწყობს კომფორტულ და ეფექტურ სწავლა-სწავლების პროცესს. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც მოიცავს კლასების აღჭურვას თანამედროვე სასწავლო ინვენტარით და ტექნიკით. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შექმნილია სასწავლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს კომფორტულ და ეფექტურ სწავლა-სწავლების პროცესს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და მიზნების შესრულებას, რაც სრულად პასუხობს კურიკულუმში განსაზღვრული შედეგების მიღწევის მოთხოვნებს. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში არის თანამედროვე ინვენტარი, რათა ესთეტიკის მიმართულებით მოსწავლეებმა შეძლონ ელექტრონული, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება. **სკოლას მიეცა რჩევა(სამივე საფეხურზე):** სასურველია, რომ სკოლას ჰქონდეს გამოყოფილი სივრცე სახელოსნოსთვის, საკლასო ოთახის სახით, სადაც დამონტაჟებული იქნება წყლის ონკანი საღებავით მუშაობის პირობების

	შესაქმნელად. ასევე კარგი იქნება, თუ სკოლა იზრუნებს მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვილი მუსიკის კაბინეტის შექმნაზე. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლაში შექმნილია სათანადო გარემო, უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით რასაც ადასტურებს წარმოდგენილი ფოტო მასსლა. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	სამივე საფეხურის სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სპორტის კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობები. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს საკმარისი მატერიალური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლა უზრუნველყოფილია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსით, რომელიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პერსონალის შერჩევა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, რაც გულისხმობს შესაბამის განათლებას, პროფესიულ გამოცდილებასა და კომპეტენციებს. საგნობრივი მიმართულებების მიხედვით დაკომპლექტებული კადრები უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების Eschool - ის ბაზა. როგორც გაირკვა, სკოლის მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსები და აკმაყოფილებენ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს. emis-ის ბაზის შესწავლის შედეგად ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელი, მათ შორის: 43 უფროსი მასწავლებელი; წამყვანი-3; მენტორი-2; მოწვეული-2; 5-სპეციალური მასწავლებელი (უფროსი); 12-სსსმ მოსწავლის ასისტენტი, 1 ფსიქოლოგი. მოწვეულ მასწავლებლებთან დაცულია კანონმდებლობით გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა. ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებულ ექიმს არ ჰქონდა კანონმდებლობთ გათვალისწინებული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.

სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის დადგენილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტთა მიერ პირადი საქმეების შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმებით დადგინდა, რომ ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს სკოლის მიერ განსაზღვრულ შესაბამისი პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დასაქმებულთა პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

ინდიკატორი 2.2.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N1/კ-127; 12.12.2025წ.);
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო კურიკულუმი;
- კათედრის ოქმები;

- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;
- შეფასების რუბრიკები;
- emis-ის ბაზა;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- საათობრივი ბადე;
- ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდება სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგიის (ბრძ. N1/კ-127; 12.12.2025წ.) დოკუმენტით განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მისი სისტემურობასა და თანმიმდევრულობას. განსაზღვრულია როგორც შეფასების ფორმები, ისე მონიტორინგის ინსტრუმენტები და პროცედურები, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და მოსწავლეთა მიღწევები.

მონიტორინგი მოიცავს როგორც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, ასევე მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზს და სხვადასხვა ტიპის უკუკავშირის შეგროვებას. შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი მიდგომები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის პროგრესის სრულფასოვან დანახვას. მიღებული მონაცემები სისტემატურად მუშავდება და გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის, ისე კურიკულუმის განვითარებისთვის. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ შეფასება არ იყოს მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული, არამედ ემსახურებოდეს სწავლა-სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. **ინდიკატორი 2.3.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემების შეგროვებით, არამედ ემსახურება გამოვლენილი საკითხების გაანალიზებასა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრას. მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირდება როგორც სასწავლო პროცესთან, ისე მოსწავლეთა მიღწევებთან დაკავშირებული გამოწვევები, რის საფუძველზეც ხდება შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა. შეფასების შედეგები გამოიყენება კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად - სწავლების მეთოდების გაუმჯობესება, დამატებითი მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვა, რესურსების გადანაწილება და სხვა. პროცესი ეფუძნება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს, რომ მიღებული გადაწყვეტილებები იყოს მიზნობრივი და ეფექტიანი. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პრობლემების დროულ იდენტიფიცირებასა და მათზე რეაგირებას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. **ინდიკატორი 2.3.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესი მიმართულია არა მხოლოდ შედეგების დაფიქსირებისკენ, არამედ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისკენ. შეფასება ეფუძნება სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, როგორიცაა მოსწავლეთა აკადემიური შედეგები, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების მონაცემები, მასწავლებელთა რეფლექსია და მოსწავლეთა თუ მშობელთა უკუკავშირი. სკოლას აქვს გამოცდილება, რომ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებით გამოკვეთოს პრობლემები, დაადგინოს საჭიროება და მოახდინოს ეფექტური უკუკავშირი.

სკოლას აქვს მზაობა ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და წახალისებას. შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორი 2.3.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N1/კ-127; 12.12.2025წ.);
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო კურიკულუმი;
- კათედრის ოქმები;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;
- შეფასების რუბრიკები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მშობელთა გამოკითხვის შედეგები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესი მიმართულია არა მხოლოდ შედეგების დაფიქსირებისკენ, არამედ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისკენ. შეფასება ეფუძნება სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, როგორიცაა მოსწავლეთა აკადემიური შედეგები, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების მონაცემები, მასწავლებელთა რეფლექსია და მოსწავლეთა თუ მშობელთა უკუკავშირი. ამგვარი მრავალწყაროიანი მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების სანდოობას და იძლევა შესაძლებლობას, რომ გამოვლენილი საჭიროებები სწორად იქნას გაანალიზებული და მათზე დროული რეაგირება განხორციელდეს. **ინდიკატორი 2.3.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესი ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოიცავს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, სასწავლო გარემოს, საგნობრივ სპეციფიკასა და სკოლის რესურსებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ შეფასება არ იყოს ერთგვაროვანი და სტანდარტიზებული მხოლოდ ფორმალურად, არამედ ასახავდეს რეალურ სასწავლო პროცესსა და მოსწავლის განვითარებას კონკრეტულ პირობებში. **ინდიკატორი 2.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს, რაც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინსტრუმენტებს. მათ შორის არის წერითი და ზეპირი შეფასებები, დაკვირვება, ტესტირება, კითხვარები, ფოკუსჯგუფები და უკუკავშირის სხვა ფორმები. მეთოდების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს ინფორმაციის სრულყოფილ შეგროვებას და ამცირებს სუბიექტურობის რისკს შეფასების პროცესში. **ინდიკატორი 2.3.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასებისას გათვალისწინებულია მრავალი ფაქტორი, მათ შორის მოსწავლის პროგრესი, ჩართულობა სასწავლო პროცესში, მიღწეული შედეგები და ინდივიდუალური განვითარების დინამიკა. ასევე ყურადღება ექცევა სწავლების პროცესის ორგანიზებას, გამოყენებულ მეთოდებსა და გარემო პირობებს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასება იყოს კომპლექსური და ობიექტური. **ინდიკატორი 2.3.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N1/კ-127; 12.12.2025წ.);
- სასკოლო კურიკულუმი;
- კათედრის ოქმები;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;
- შეფასების რუბრიკები;

- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მშობელთა გამოკითხვის შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის (ბრძ. N1/კ-127; 12.12.2025წ.) დოკუმენტის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობისა და შედეგების მიხედვით; მშობელთა ჩართულობის მიხედვით; ასევე კათედრების მუშაობის ანალიზი მნიშვნელოვანი რგოლია კურიკულუმის დანერგვის

პროცესიდან დაწყებული. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე სკოლა აყალიბებს რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია კურიკულუმის გაუმჯობესებისა და მისი განხორციელების მხარდაჭერისკენ. აღნიშნული რეკომენდაციები შეიძლება მოიცავდეს როგორც შინაარსობრივ, ისე მეთოდურ ცვლილებებს, ასევე დამატებითი რესურსების ან პროფესიული განვითარების საჭიროებებს. **ინდიკატორი 2.4.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია კურიკულუმის შექმნის პროცესში ჩართული მხარეების ფუნქცია-მოვალეობები, რაც მასწავლებელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. კურიკულუმის განახლება ხორციელდება დაგროვილი გამოცდილებისა და მიღებული შეფასების შედეგების გათვალისწინებით. წინა პრაქტიკის ანალიზი, გამოვლენილი გამოწვევები და მიღებული რეკომენდაციები ინტეგრირდება კურიკულუმის ახალ ვერსიაში, რაც უზრუნველყოფს მის უწყვეტ განვითარებას და გაუმჯობესებას. ამგვარი მიდგომა ქმნის საფუძველს, რომ კურიკულუმი იყოს დინამიური, რეალობაზე მორგებული და ორიენტირებული სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდაზე. **ინდიკატორი 2.4.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N165 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N1/კ-127; 12.12.2025წ.);
- სასკოლო კურიკულუმი;
- კათედრის ოქმები;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;
- შეფასების რუბრიკები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მშობელთა გამოკითხვის შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

20.04.2026წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: